1926 წ. დეკემბერი.

№ 12.

ფასი 2 ფრ.

დამოუკიდებელი საქართველო

La Géorgie Indépendante
ეროვნული
Édition mensuelle
ბიულეტენი

1926. — DECÉMBRE № 12

Prix : 2 fr.

საქართველოს პოლიტიკური პარტიების საერთო ორგანო.

ბოლშევიზმი და ერები.

კუტუზოვმა დასწვა მოსკოვი, ნაპოლეონის შესვლის წინ 1812 წ., და ეს მას დიდ გმირობად ჩაუთვალეს. შეიძლება ეს ასედაც იყოს სამხედრო თვალსაზრისით: მტრის მოღლა, თუმცა იმავე ნაპოლეონმა მასზე ადრე ბერლინზე გაიარა და, მიუხედავათ ამისა, დედა-ქალაქის დაწვა არავის მოსვლია თავში.

არის სხვა მოვლენებიც უფრო გასაოცარი, თუ გნებავთ, აუხსნელი. დადგა 1917 წელი, გაიმარჯვა რევოლიუციამ, ყველგან სიხარული, აღტაცება, გეგონებოდათ, მოპოებული თავისუფლება ახალ სულს ჩაბერავდა ხალხს, აამაღლებდა, განამტკიცებდა მას შინ და ფრონტზედ. ყოველ შემთხვევაში, ამას გვასწავლიდა საფრანგეთის დიდი რევოლიუცია, გახსოვთ, რა სასწაულებას ახდენდა კონვენტის ლოზუნგი: «სამშობლო განსაცდელშია!»

რა გვესმის ამის მაგიერ? მტრის დაპლომბილ ვაგონით ჩამოყვანილ ლენინ-ზინოვიევის ლოზუნგი: «დაძმობილდით მტერთან!» დაუვიწყარია ერთი დრამატიული სხდომა მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოსი პეტროგრადის სახალხო სახლის ვეება დარბაზში. დასმულია სიკვდილით დასჯის შემოღება ქვეყნის მოღალატეთათვის. მას იცავს მჭერმეტყველურათ ი. წერეთელი. უყრიან კენჭს, წერეთელი კენტად რჩება, ყველა დანარჩენი, ათასამდე ხელი წინააღმდეგია!

რას უწოდებთ ამას თქვენ? გესმით თქვენ ეს? ცხადია, ლენინ-ზინოვიევი აქ არაფერ შუაშია, განა ცოტაა შტერი, გადარეული! თავი და თავი ისაა, რომ მოღალატეთა ლოზუნგმა აიყოლია ხალხი. საფრანგეთსაც ჰყავდა თავისი ერვე, რომელიც უფრო პოპულიარული იყო პარიზის მუშათა უბნებში, ვინემ ჟორესი. მერე რა? დაჰკრა განსაცდელის ქამმა და ვის გაახსენდა ერვე? უკანასკნელიც გაპატრიოტდა, თუმცა შოვინისტური გადაწვრით!

გვახსოვს ერთი ფრაზაც, რომელსაც კერენსკი წამოიძახებდა ხოლმე თებერვლის რევოლიუციის ხანაში: «მონათა ჯანყი!» ჩვენ ვფიქრობთ, რუსის ხალხმა განვლო მონობის ხანა; ვიმედოვნებთ, მე-17 და მე-18 საუკ. ჯანყები წარსულს ეკუთვნის,—მაგრამ კითხვაა, შესდგა თუ არა მან, რუსის ხალხმა, ფეხი მოქალაქობრივ ხანაში? არა, და სწორეთ ამაშია პრობლემის მთელი ძარღვი.

მოქალაქე ისაა, ვინც სცნობს სახელმწიფოს და მზათაა მისთვის თავი გასწიროს. ჩვენს დროში სახელმწიფო ხშირათ ერის სინონიმია, ფრანგულ ენაზე, მაგ., სახელმწიფო და ერი იგივეა. სახელმწიფო ერში ჰპოვებს თავის დასრულებას, და ერიც—სახელმწიფოში თავის განსახიერებას.

გამოიჩინეს რუსებმა, ან უკეთ—ველიკოროსებმა ეს მოქალაქობრივი სიმწიფე? ვერა, ვერ გამოიჩინეს. მათ მოინდომეს, მართალია, სოციალიზმის განხორციელება, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ ამ იდეის განხორციელება მხოლოდ მოქალაქეთ შეუძლიათ. არ იფიქროთ, ვითომ ჩვენ გვაკვირვებდეს ნგრევის პროცესი რევოლიუციის დროს: იგი გარდუვალიც იყო ძველი რეჟიმის მოსასპობათ, მიწების მშრომელთა ხელში გადასასვლელათ. მაგრამ რასაც ბოლშევიზმი ამ ცხრა წლის განმავლობაში დაუსჯელათ სჩადის, განსაკუთრებით ეკონომიურ სფეროში, აღემატება ყოველგვარ შესაძლებლობას ცოტათ თუ ბევრათ დაწინაურებულ ქვეყანაში.

ჩვენ არ გვავიწყდება ისიც, რომ ბოლშევიზმის მიმდევართა რიცხვი ბევრი არ არის რუსის ხალხში: გლეხობას იგი ეჯავრება, როგორც ქამი, მუშების დიდი უმრავლესობა მასში მხოლოდ მჩაგვრელსა და მყვლეფავს ხედავს, ინტელიგენციაზე ხომ ლაპარაკიც მეტია. და აი ეს არის სწორეთ გასაოცარი და აუხსნელი, როგორ ითმენს ამდენი ხანი ამ რეჟიმს ხალხი! განა ბავარიასა და უნგრეთშიც არ გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება? მერე რამდენი ხანი იბოგინა მან იქ? მხოლოდ კვირეები, ერთი თვეც ვერა. ჩვენ ვიცით, რას წარმოადგენდა გერმანია დამარცხების მეორე დღეს, ასე გეგონებოდათ, საცაა უფსკრულში გადაეშვებაო, და, მიუხედავათ ამისა, ხალხი თვითონ, თავის მკერდით ეძგერა მის თავზე მოვლენილ საშინელ ხიფათს და სძლია იგი. დამახასიათებელია, ბელადი ამ საბედისწერო მომენტში სოციალდემოკრატიამ მისცა გერმანიას: ნოსკე.

დიახ, რუსის ხალხმა ვერ მოინელა რევოლიუცია, ამისათვის ის მოუმზადებელი გამოდგა მოქალაქობრიკათ, პოლიტიკურათ. ბოლშევიზმი ისეთი ფენომენია, რომელიც, ერთის მხრით, თითქოს დასავლეთმა წარმოშვა, მეორეს მხრით, მარტო ველიკოროსიის ნიადაგს ეგუება იგი. რატომ? ამის პასუხს თვით რუსების ნაწერებში იპოვით: ვეება, განუზომელი ტერიტორია და მასზედ შორიშორს გაფანტული მოსახლეობა, ცარიზმი, ხალხის სიბნელე, დიდი ომი და სხ. და სხ. ჩვენ არაფერი გვაქვს ამ ახსნის წინააღმდეგ, მზათა ვართ დავეთანხმოთ კიდეც, მაგრამ ეს გარემოება არ გვანთავისუფლებს მოვალეობისაგან ვაღიაროთ ის, რასაც ვხედავთ: რუსის ხალხის უსაზღვრო პასივობას. ბოლშევიზმმა დაურღვია მას მეურნეობა, აღებ-მიცემობა, საკუთრება, ოჯახი, სკოლა, სარწმუნოება—არ ვამბობთ პოლიტიკურ უფლებებზე—და რას ვხედავთ? ის ითმენს და ამ მოთმინებასაც ბოლო არ უჩანს! უნებლიეთ გვაგონდება ტოლსტოის მცნება: «ნუ ეწინააღმდეგები ბოროტებას!»

ჩვენ ვალდებული ვართ მეორე რამეც ვაღიაროთ: არარუსი ერები, რომელთა რიცხვი ბევრი იყო ყოფილ იმპერიაში და ეხლაც ცოტა არ დარჩა, საუბედუროთ, ეგრ. წოდ. კავშირში, გაცილებით უფრო მომზადებული აღმოჩნდენ. ბოლშევიზმს არ გაუმარჯვნია არც ერთ ამ ერში, პირიქით, მეტმა ნაწილმა მათ შორის რევოლიუცია იმისთვის გამოიყენა, რომ დამოუკიდებელი და დემოკრატიული სახელმწიფო დაეარსებინა. მართალია, ზოგნი მათ შორის ისევ გმინავენ მოსკოვის ქუსლებ ქვეშ, და, მაშასადამე, ბოლშევიზმი გარედან მოახვიეს მათ თავზე, მაგრამ სრულიად წარმოუდგენელია და დაუჯერებელი ამ რეჟიმის მათ ტერიტორიაზედ არსებობა შინაური ძალ-ღონით, ან რაც იგივეა—გარედან დაუხმარებლათ.

არარუს ერთა ტრაღედიაც სწორეთ ამაში მდგომარეობს! ჩვენ არ ვამბობთ ჩვეულებრივ ეროვნულ ანტაგონიზმზე, შოვინიზმზე, ეგ არ არის შექმნილ მდგომარეობის მთავარი მომენტი. რუსის ერს და მის განუზომელ ეთნოგრაფიულ ტერიტორიას არ ემუქრებიან არარუსი ერები. ისიც ცხადია, რომ რუსის ერი განთავისუფლდება ამა თუ იმ გზით, ადრე თუ გვიან, ბოლშევიკ მტარვალობისგან და მისი მომავალიც უზრუნველყოფილია. სიმრავლეც ხელს უწყობს მას: მიუხედავათ ამდენი ხოცვა-ჟლეტისა, შიმშილისგან დაღუპულ მილიონებისა, მისი რაოდენობა უკლები რჩება და კარგი მოსავლის წელში მატულობს კიდეც.

სულ სხვაა არარუს ერთა მდგომარეობა. აიღეთ მაგალითისთვის კავკასიის პატარა ერები. რუსის ხალხმა მარტო ერთი წლის შიმშილის დროს მეტი დაჰკარგა, ამბობენ ორჯერ მეტიცო, ვინემ თვითეულ ამ პატარა ერის მთელი შემადგენლობაა! ამას დაუმატეთ ნაციონალისტური დევნა, გარდა სოციალურისა, რომელსაც ეს ერები განიცდიან. არავისთვის არ წარმოადგენს საიდუმლოებას, რომ მოსკოვის ჯალათნი სისტემატიურათ, წინასწარი მოფიქრებით სპობენ ყველაზე ვარგის და საღ ელემენტებს ამ ერებში. ეროვნულ კულტურის დაქვეითება, ოჯახის წაბილწვა, ახალ თაობის გარყვნა კიდევ სხვაა. ხდება ჩვენს თვალწინ გადაგვარების პროცესი.

როგორც ხედავთ, არარუს ერთა განთავისუფლება მოსკოვის უღლისაგან სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია: მათ ბუნებრივ და სამართლიან მისწრაფებას დამოუკიდებლობისადმი ზედ ერთვის ახალი მომენტი—ესაა თავის დაღწევა ბოლშევიზმის გამანადგურებელ შედეგებისაგან. უნდა ვაღიაროთ გულწრფელათ: ჩვენ არ ვიცნობდით საკმაოთ რუსის ხალხს, რისი ატანა შესძლებია მას, რა ზომამდის აღწევს მისი მოთმინება. შეიძლება ეს კარგი თვისებაც იყოს ბოლოს და ბოლოს—აკი ვახსენეთ «მტრის მოღლა»!—მაგრამ არარუს ერებს აკლიათ ეს თვისება, აი რა უნდა დავიმახსოვროთ. და თუ აკლიათ, ეს იმას მოასწავებს, რომ ისინი ზედ გადაჰყვებიან მოვლენილ ჭირს, თუ დროზე არ უშველიან თავს.

თავისუფალნი რუსხი და არარუსნი, ერთხელ თავ-თავის სახელმწიფოებრივ ფარგლებში ჩამსხდარნი, დამერწმუნებით, გაცილებით უკეთეს და ნორმალურ დამოკიდებულებაში იქნებიან ერთმანეთთან. ჩვენ სულაც არ მიგვაჩნია ზღაპრად ის დღე, როცა «კავშირში» ჩაჯედილ რუს და არარუს ერთა წარმომადგენელნი მეგობრულ ხელს გაუწვდიან ერთმანეთს ერთა ლიგაში, და სხვა ერებთან ერთად, ემსახურებიან საკაცობრიო იდეალებს.

ბოლშევიზმის კრიზისი.

მიუხედავათ იმისა, რომ ტროცკის, ზინოვიევის და კამენევის ოპოზიცია დაემორჩილა სტალინის ცეკას, მე მაინც საჭიროთ მიმაჩნია შევაჩერო მკითხველის ყურადღება იმ კრიზისზე, რომელსაც ამ ქამათ მთელი თავისი სიგრძე სიგანით მსოფლიო ბოლშევიზმი განიცდის. ნამდვილათ კი ის ძალები, რომელნიც ბოლშევიზმის კრიზისს იწვევენ, ისევ და არა ნაკლები სიძლიერით მოქმედებენ: ოპოზიციის მეთაურების შერიგება ოდნავათაც არ სპობს ამ ძალებს.

კრიზისი, რომელსაც ამ ქამათ არა მარტო რუსეთის, არამედ მთელი მსოფლიო ბოლშევიზმი განიცდის, არ არის ჩვეულებრივი პარტიის ჩვეულებრივი იდეური უთანხმოება. არა. ჩვენ მოწამენი ვართ პარტიის ისეთ დაავადებისა, რომელსაც მისი გახრწნა და რღვევა ეწოდება.

რასაკვირველია, რომ ოპოზიციის გაჩენა იყოს გამოწვეული, მარტო «ლენინის მემკვიდრეობის» ლიდერებს შორის გაყოფის გამო, მაშინ ბელადების «მორიგებას» გადამჭრელი მნიშვნელობა ექნებოდა და კომპარტიაც შეპყრობილ სენისგან განიკურნებოდა. მაგრამ ეს ასე არაა და ამას კარგად გრძნობენ თვით ბოლშევიკებიც.

აი რას ამბობს ქართველ ბოლშევიკთა ბელადი ფ. მახარაძე ოპოზიციის გაჩენის შესახებ:

«ამხანაგებო, ბევრს გონია, რომ საკითხი დღევანდელი ახალი, ანუ ეგრეთ წოდებული ოპოზიციის შესახებ ამოიწურა იმით, რაც ითქვა უკანასკნელ პლენუმზე. ასე რომ ყოფილიყო, რასაკვირველია, ჩვენი საქმე უფრო ადვილი იქნებოდაო. მაგრამ ეს ასე არ არის, რადგან ოპოზიცია გვიყენებს რევოლიუციის ძირითად საკითხებს პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ; იგი უწინარეს ყოვლისა ეხება ჩვენი პარტიის ყოფნა-არყოფნის საკითხსო» (ქარ. «კომუნისტი» № 216).

მახარაძე ჭეშმარიტებას ღაღადებს, მხოლოდ ერთი შესწორებით,—კომპარტიის და დიქტატურის ლიკვიდაციის საკითხს ოპოზიცია კი არ აყენებს, არამედ ცხოვრება. ზინოვიევ-ტროცკის ოპოზიციის სუსტი მხარე უმთავრესათ იმაში გამოიხატებოდა, რომ იგი დიქტატურის ლიკვიდაციას კი არ მოითხოვდა, არამედ კომპარტიის დიქტატურის ახალი ფორმით განახლებას. დიქტატურის არსებობის საკითხში ტროცკი და სტალინი ერთათ არიან. განსხვავება მათ შორის მხოლოდ მასშია, რომ სტალინს უნდა პარტიის დიქტატურა განახორციელოს მისი მეთაურობით და გლეხების მომადლიერებით, ხოლო ტროცკის:—მისი, ტროცკის, მეთაურობით, გლეხობის დაჩაგვრით და მუშების მომადლიერებით. ერთსაც და მეორესაც სურს ცხოვრებისა და კლასის მოტყუილება, ე. ი. შეუძლებელის ბიღწევა.

ასეთი ბელადებისა და პარტიის შესახებ ფრ. ენგელსი სწერდა «გლეხთა ომები გერმანიაში»-ის წინასიტყვაობაში:

«იმაზე უფრო ცუდი არაფერი არ არის, როცა მემარცხენე პარტია და მისი ბელადი, კიდებს ძალა-უფლებას ხელს მაშინ, როდესაც მატერიალური პირობები არ არის მომწიფებული იმ კლასის ბატონობისთვის, რომელსაც პარტია და მისი ბელადი იცავენ»... «ის (მემარცხენე პარტია და მისი ბელადი) ხელფეხ შეკრულია დოქტრინით და პარტიის მოთხოვნილებებით, რომლებიც სრულებითაც არ გამომდინარეობენ იმ ურთიერთობიდან, რომელიც საზოგადოებრივ კლასებს შორის ამ ჟამათ დამყარდა. ამ რიგათ, ბელადსა და მის პარტიას წინაშე დგება შემდეგი დილემა: ის, რის გაკეთებაც მას შეუძლია, ეწინააღმდეგება მის წასულს, მის პრინციპებს და მისი პარტიის ინტერესებს; ხოლო ის, რაც მას უნდა გაეკეთებია,—განუხორციელებელი ხდება. ერთი სიტყვით, ამბობს ენგელსი, ასეთი ბელადი, იძულებულია დაიცვას არა თავისი პარტია და კლასი, არამედ ის კლასი, რომლის ბატონობისთვის უკვე მოძრაობა მწიფეა. ამ მოძრაობის ინტერესების გამო, იძულებულია გაეკეთოს მოწინააღმდეგე კლასის საქმენი, ხოლო თავის კლასისთვის მარტო დაპირებებითა და ფრაზებით დაკმაყოფილდეს. და ვინც ერთხელ შესდგა ამ ყალბ ნიადაგზე, ის ერთხელ და სამუდამოთ დაიღუპაო».

ენგელსის აზრი სავსებით გამართლდა ლენინსა და მისი პარტიის მაგალითზე. გავიხსენოთ მოკლეთ ნიშნობლივი თვისებები მათი საქმიანობისა.

ძალაუფლების იდეიით შეპყრობილმა ლენინმა ოქტომბრის რევოლიუციის პირველ ხანებშივე უარყო ძველი სოც.-დემოკრატიული გზა და მიჰყვა რუსულ სტიქიას, ის შეიპყრო ბაკუნინ-ნეჩაევის და სტენკა რაზინის სულმა.

როდესაც რაზინის რუსეთმა «ნაძარცვის ძარცვა» დაასრულა, და რაზინის ადგილი «კულაკმა» დაიჭირა, როდესაც ბურჟუაზიულმა სტიქიამ, მიუხედავათ ჩეკის რეპრესიებისა, მაინც გაარღვია კომუნიზმის კედლები, ნეპის გამოცხადებით, ლენინი თითქმის შეეცადა უარეყო ნეჩაევ-ბაკუნინი და ევროპის გზაზე გასულიყო, მაგრამ ეს ვერ შესძლო და ძველ რუსეთსა და ევროპას შუა გაიჩხირა. ამ ჩიხიდან იგი მხოლოდ სიკვდილმა გამოიყვანა. ამ გზით ბელადი გადარჩა, ხოლო მისი პარტია ისევ ჩიხში დარჩა და დღესაც იქ იმყოფება იმ განსხვავებით, რომ ლენინი სტალინათ იქცა, ხოლო ლენინიზმი—სტალინიზმათ.

ოქტომბრის რევოლიუციის მთელი პათოსი ლენინმა გამოხატა «ძარცვეთ ნაძარცვი»-ს ლოზუნგში და რომ ძალაუფლება ჩაეგდო ხელში იგი რაზინის ლაშქარს დაეყრდნო. დღეს კი საბჭოთა რუსეთის პათოსს შეადგენს ბურჟუაზიული სტიქია და მისი ლოზუნგი «გამდიდრდით», რომელიც სტალინიზმის თეორეტიკოსმა ბუხარინმა გულწრფელათ გადაისროლა თვალუწვდენელ რუსეთში. ამ სტიქიის მთავარი ჯარი შესდგება გაბურჟუებული გლეხობისგან და გაკამისარებული კომუნისტებიდან. ესენი ქმნიან საბჭოთა რუსეთში ისტორიას და მათია ეკონომიკაც და პოლიტიკაც. და სტალინიც მათ ეყრდნობა, რათა ძალაუფლება შეიძლება ლენინიზმი სტალინიზმის სახით რამდენიმე ხნის შემდეგ ფაშიზმამდისაც მივიდეს, როგორც ამას ოპოზიცია წინასწარმეტყველობს, მაგრამ ისიც ჭეშმარიტებათ უნდა ჩაითვალოს, რომ ძალა-უფლების შენარჩუნების ინტერესის საზომით მართალია სტალინი, და არა ტროცკი და ზინოვიევი.

ლენინიც და სტალინიც თავისი მოქმედებით ამართლებენ ენგელსის შეხედულებას. ისინი აკეთებენ იმას, რასაც უკარნახებს რუსეთში არსებული სოციალურ ძალთა განწყობილება ბურჟუაზიულ კლასების არსებობისთვის მომწიფებული ეკონომიური პირობები, ხოლო მუშათა კლასს ისინი ლამაზი სიტყვებით უმასპინძლდებიან. «ელექტროფიკაცია პროლეტარიატის დიქტატურის მიმატებით», აი კომუნიზმი, გაიძახოდა ლენინი. ლენინმა და ელექტროფიკაციამ ორივემ ჭირი მოგჭამათ კარგი ხანია.

ინდუსტრიალიზაციას და კომპარტიის დიქტატურას მივყევართ კომუნიზმის სამეფოშიო, უმტკიცებს თავის მრევლს ლენინის მემკვიდრე სტალინი. ინდუსტრიალიზაციაც ისეთივე თვალთმაქცობა არის, როგორიც ელექტროფიკაცია იყო. «ფიქრი იმაზე, რომ ჩვენ შევძლებთ შაურებით შეგროვილ კაპიტალის საშუალებით, აცხადებს «მუშათა ოპოზიციის» წარმომადგენელი კომუნისტი მედვედიევი, ჩამქრალი მრეწველობის აყვავებას, ისევ ილიუზიებით თავის მოტყუილება არისო» (ქარ. «კომუნ.» № 157). სწორი იქნებოდა ეთქვა «მუშათა ოპოზიციის» წარმომადგენელს—მუშებისა და პარტიის მოტყუილება არისო, ვინაიდან ამ შემთხვევაში ცეკა თავის თავს კი არ იტყუილებს, არამედ იგი სხვის მოტყუილებას ცდილობს. რომ კომპარტია ასეთი ხრიკებით შორს ვერ წავა, ამას მოწმობს მასში ათასგვარი ოპოზიციის გაჩენა.

მოკლეთ,—«სოციალური რევოლიუციის» მჭადაგებელი ბელადები და მათი პარტია—უბრალო მეწვრილმანეთ გადაიქცა. ლენინის უკანასკნელი თავის პარტიისადმი ანდერძი იყო—«ვაჭრობა ისწავლეთო». კომპარტიის თეორეტიკოსი ბუხარინი გაიძახის—«გამდიდრდითო». კომპარტიის შტაბის უფროსი სტალინი აცხადებს: თეთრი ხელთათმანებით სოციალიზმს ვერ დავამყარებთ, არაყით უნდა ვივაჭროთო. სტალინს თუ დავუჯერებთ, «სოციალისტური აღმშენებლობის» მთავარი კალატოზი საბჭოთა რუსეთში ამ ქამათ მიკიტანია. და ჯავახიშვილის რომანის «კვაჭი კვაჭანტირაძის» აწ უკვდავი გმირი მიკიტანი ერემო, როგორ წარმოიდგენდა, რომ ის სოციალიზმის მთავარი ბურჯი იქნებოდა! ცხადია, იქ სადაც ერემოები სახელმწიფოს ფუძეს წარმოადგენენ, კვაჭანტირაძეები მთავარ როლს თამაშობენ. და ბ. ჯავახიშვილმა თავისი მთავარი გმირი კვაჭი ტყუილათ წაიყვანა სტამბოლში. კვაჭანტირაძეები საბჭოთა რუსეთს არ მოშორებიან და ისინი იქ თავიდანვე დიდ როლს თამაშობდენ, როგორც თვით ავტორიც აღნიშნავს ამას, ხოლო ამ ბოლო დროს სავსებით დაეპატრონენ «სოციალისტურ აღმშენებლობას». ტყუილათ კი არ იჭერენ მიკოიანები კამენევების ადგილს!

ერთი სიტყვით, საბჭოთა კავშირი მოგვაგონებს იმ კოოპერატივს, რომელიც კარგი ხანია გაკოტრდა და რომელიც იჯარით გადასცეს კერძო ვაჭარს. ძველი შერჩა მხოლოდ ფირმა, «ვივესკა».

საინტერესოა, რომ გაკოტრების მოწმობა თავის თავს და თვის პარტიას თვით ლენინმა მისცა. ნეპის გამოცხადების შემდეგ 1921 წლის ოქტომბერში პოლიტგანყოფილების წარმომადგენელთა ყრილობაზე ლენინმა შემდეგი განაცხადა: «ჩვენ დაუშვით დიდი შეცდომა, რომ პირდაპირ დაუყოვნებლივ შევუდექით წარმოებისა და ნაწარმოების განსაზოგადოებრივობას. ამ ნიადაგზე ჩვენ სასტიკი დამარცხება განვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლობის გაფრთხილება.

საქართველოს დღევანდელი აუტანელი პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა ბევრს ქართველს აიძულებს უცხოეთში გამოემგზავროს. განსაკუთრებით ახალგაზდობა, რომელიც თავის სამშობლოში ვერ ახერხებს სწავლის გაგრძობას, მოეშურება ევროპაში უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად იმ იმედით, რომ აქ რაიმე სახსარს იპოვნის.

საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლობა უცხოეთში დაბეჯითებით აფრთხილებს ასეთს პირებს, რომ ევროპაში დღეს ემიგრანტთა ცხოვრების პირობები მეტად გაძნელებულია, ეს უნდა ითქვას ხაზგასმით საფრანგეთზე, საითკენაც მოისწრაფვის უმთავრესად ქართველობა და სადაც ფრანკის სტაბილიზაციის მოლოდინში დღეს ერთგვარი კრიზისია მრეწველობის და მთავრობის მიერ უცხოელ მუშა ხელის შემოსვლა უკვე აკრძალულია. აქ ჩამოსულ ჩვენი მოსწავლე ახალგაზდობის დიდი უმრავლესობა იძულებულია სამუშაოზე დადგეს (რაიც დღეს სრულიად შეუძლებელი გახდა) და ამ ვითარებაში სწავლის გაგრძელების ნაცვლად დიდს გაჭირვებას განიცდის. ვისაც სწადია უცხოეთში სასწავლებლებში მეცადინეობა, ის უთუოდ უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ქონებრივად მშობლებისა ან ნათესავებისაგან.

ცადეთ და დავიწყეთ სტრატეგიული უკან დახევა. სანამ არ გავნადგურებულვართ საბოლოოთ, მოდით დავიხიოთ უკან და დავიწყოთ ყველაფრის ხელახლა შენებაო» («იზვესტია» №№ 19 და 22, 1921 წ.). პარტიამ ბელადს დაუჯერა, 5 წელი აშენა, მაგრამ სოციალისტურ აღმშენებლობის საკითხში კიდევ უფრო უკან დაიხია.

მან დღესაც არ იცის, როგორ აშენოს «სოციალისტური სახელმწიფო», როგორ გადაურჩეს კატასტროფას, რომელსაც მას ბურჟუაზიული სტიქია უმზადებს. ამ ნიადაგზე ვითარდება ბოლშევიზმის კრიზისი და იწყება მისი რღვევის პროცესი.

საგულისხმიერო ის არის, რომ გამოსავალის ძებნის დროს კომპარტიაში ერთი შეთანხმებული ხმა აღარ გაისმის, როგორც ეს 5 წლის წინეთ იყო. საქმე იქამდე მივიდა, რომ დღეს დიქტატურის ლიკვიდაციის საკითხს სვამს თვით კომპარტიის ერთი, უფრო გულწრფელი ნაწილიც კი როგორც რუსეთში, ისე ევროპაში.

მაგრამ ისიც ცხადი უნდა იყოს ჩვენთვის, რომ ოქტომბრის რევოლიუციის ხელმძღვანელები, დიქტატურის სულის ჩამდგმელნი, ტროცკი-ზინოვიევი, ამ დიქტატურის სალიკვიდაციო ბრძოლის გმირები ვერასოდეს გახდებიან. ასეთია ისტორიის კანონი.

ისე, როგორც რუსეთის ჯარის უმაღლესი გენერლობა, მიუხედავათ მისი ნიკოლოზ მე-II-დმი ოპოზიციონერობისა, ვერ გახდა თვითმპყრობელობის ლიკვიდაციისა და თებერვლის რევოლიუციის გმირი, ისე კომპარტიის ბელადები ვერ უხელმძღვანელებენ საბჭოთა წესწყობილების ლიკვიდაციას. მათ ოპოზიციონერობას შეუძლია მხოლოდ დააჩქაროს ნგრევის პროცესი.

ეაჟი.

25 ოქტომ. ჩეხია.

შრომა და ცოდნა.

შეიძლება ზოგიერთს ეუცხოვოს, რომ დღევანდელს, ჩვენი ერისთვის მეტად მძიმე პირობებში გვინდა ვილაპარაკოთ ასეთ ელემენტარულ, უბრალო რამეზე—შრომასა და ცოდნაზე. მართლაც, ან რა უნდა ითქვას ახალი ან ერთზე ან მეორეზე? ეს ხომ გაცვეთილი ტემაა—შრომისა და ცოდნის აუცილებლობა და მნიშვნელობა. ეს ხომ დედა-ენასა და ბუნების-კარშიც წაგვიკითხავსო, გვეტყვიან. ხოლო საგანს თუ ცოტათი ფართოდ მივუდგებით, დავინახავთ, რომ შრომისა და ცოდნის საკითხები ჩვენთვის დღესაც ახალია და მასთან ჩვენი ეროვნული არსებობისა და მომავალისათვის უაღრესი მნიშვნელობის. ისინი ქართველობისათვის მეტად სადღეისო, მწვავე და საჭირბოროტო საკითხებია. ჩვენ გვაკლია შრომისა და შრომის დისციპლინის სიყვარული, არ გვიყვარს ცხოვრება, მსჯელობა და მოქმედება ცოდნის მიხედვით—ეს ჩვენი დიდი ეროვნული ნაკლია და ამის გამოსწორება აუცილებელი პირობაა ჩვენი დაწინაურების და გამარჯვების.

ჩვენ გვიყვარს და ვაქებთ მშრომელს, მის დამცველად გამოვდივართ, სამისო იდეოლოგიაც გავავრცელეთ, ხოლო არავის უქადაგნია შრომის სიყვარული და არც მისი იდეოლოგია შეუქმნია. ჩვენში ბევრი სამუშაო ალბად უფრო მძიმეა, ვიდრე განათლებულ ქვეყნებში, სადაც მანქანა აკეთებს მძიმე გასაკეთებელს. შეიძლება ხანდახან ჩვენებური მშრომელი მეტს ენერგიას ხარჯავდეს და მეტს ოფლს ღვრიდეს. ცხადია ისიც, რომ ჩვენში მუშა სიღარიბისა გამო მოკლებულია საშუალებას. კარგის საჭმელით, კარგის ბინით, კარგის თავის მოვლით აინაზღაიროს დახარჯული ძალა. არ უნდა მტკიცება იმას, რომ პირდაპირ აუტანელია მაგალითად იმერელი გლეხის შრომა ზაფხულში, როცა დღეში 18 საათს მუშაობს და ხეირიანად ვერ გამოძღება ვერც სადილზე და ვერც ვახშამზე. მაგრამ ყოველივე ეს არ ამტკიცებს, რომ საერთოდ ჩვენში ბევრს მუშაობდენ. ჩვენებური მუშა, გლეხი, მწარმოებელი, მოხელე და სხვა (აქ უნდა ვიგულისხმოთ, რასაკვირველია, ინტელექტუალური შრომაც)—არ ცთილობს სავსებით გააკეთოს, რის გაკეთება შეუძლია, მოანდომოს საქმეს მთელი თავისი ძალი და გასაკეთებელი მიიყვანოს თავის სისრულემდე. ყველა ცუღლუტობს, ყველა მოწადინებულია შრომის თავიდან აცდენას, იოლად გამოსვლას, შრომის შემცირებას.

ჩვენებურ მუშაობას აკლია წესი და დისციპლინა. ევროპიელი მუშაობს მთელი წლის განმავლობაში ერთ დონეზე და არა ისე, როგორც მაგ. ჩვენი სოფელი, რომელიც ზამთრობით მეტ წილად არაფერს აკეთებს. როცა ადამიანი თუნდაც ცოტას მუშაობს, მაგრამ სისტემატიურად, ყოველდღე, ის მუდამ მეტს გააკეთებს, ვიდრე ის, ვინც დღეს ბევრს წაიმუშავებს და ხვალ და ზეგ კი ხელს არ არ გაანძრევს. ამის მიზეზით, სხვათა შორის, შრომის პროცესის ძაფი წყდება და ეს აძნელებს შრომის სრულს ნაყოფიერებას. ჩვენ არ გვაქვს არც სიყვარული იმ საგნის, რომელსაც ვაკეთებთ, ვქმნით; არ მოგვეპოვება, აგრე ვსთქვათ, სიამაყე, თავმოყვარეობა შემოქმედის, რომელიც დაინტერესებული უნდა იყოს, რომ გასაკეთებელი, რაც შეიძლება, სრული და უკეთესი გამოვიდეს. ჩვენ საქმეს უფრო ფორმალურად ვუცქერით—ოღონდ გავაკეთოთ რამე. განსაზღვრული ენერგია დავხარჯოთ და ნაკლებ ვითვალისწინებთ იმას, თუ ჩვენი გასაკეთებელი როგორი იქნება. ვერ უარვყოფთ იმასაც, რომ ფიზიკური შრომა დამამცირებელ, სასირცხვო მოვლენადაა მიჩნეული.

თუ ეს ასეა, უნდა დამეთანხმოთ, რომ მსგავსი მდგომარეობა დიდი ეროვნული უბედურებაა. ხომ კარგად ვხედავთ ყველანი და გვესმის, რომ ამ ქვეყნად ყველაფერი მხოლოდ შრომითაა შექმნილი, შრომით და შრომით—მთელი ქონებრივი სიმდიდრე და კულტურა. მაშასადამე ერის ცხოვრებაში შრომის სიყვარული და მოწყობა უმნიშვნელოვანესი საკითხია.

შრომასთან განუყოფელია ცოდნა. შრომას—როგორც უბრალო ფიზიკურ ძალის დახარჯვას, თავისთავად ფასი არა აქვს. შრომას ვაფასებთ, რამდენად რასმე ჰქმნის, აკეთებს და ეს შეუძლია მხოლოდ ცოდნის შემწეობით, ცოდნის ხელმძღვანელობით. დღევანდელ ქართველებს არც ცოდნის პატივისცემა და ნდობა გვახასიათებს. ჩვენ არ ვფიქრობთ საზოგადოთ ჩვენი ცხოვრება ცოდნის დაგვარად მოვაწყოთ. რასმე რომ განვიზრახავთ, ყველაზე ნაკლებ ცოდნას ვიღებთ მხედველობაში. საქმის კეთება ზეპირად გვიყვარს და იმის ანგარიშით, რომ ორჯელ ორი ოთხი კი არა, არამედ ეგებ ხუთი გამოვიდეს ან სამხახევარიო. ცეცხლის ანთებას წყალით ვლამობთ და ჩაქრობას ნავთით. საკუთარია ასეთი ჩვეულება, თუ ნასესხებია, არ ვიცით, ხოლო იგი აუცილებლივ ძირიანფესვიანად უნდა ამოიფხვრას. ღრმად უნდა განვიმსჭვალოთ იმის შეგნებით, რომ ბუნებას აქვს თავისი ურყევი კანონები და ვისაც უნდა ისარგებლოს ბუნება, იმსახუროს თავის საკეთილდღეოდ, უნდა შეიცნოს ეს კანონები და იმოქმედოს მათის თანახმად. ეს ცოდნა ბუნების და მისი მოვლენების გვჭირია ყოველ დარგში მიწის დამუშავებიდან უმაღლეს საზოგადოებრივ დაწესებულების მოწყობამდე. დღეს ჩვენში უმეტესი საქმე და სამუშაო პრიმიტიულად კეთდება და არავითარი წარმოდგენა არა გვაქვს იმაზე, რომ ეს გაცილებით უკეთ და უფრო ნაყოფიერად გაკეთდება, რომ მეცნიერების, ცოდნის იარაღით ვიყოთ აღჭურვილი. ვფიქრობთ, რომ მეცნიერება მხოლოდ კაბინეტის სწავლულთა თეორიული საგანია. ნამდვილად კი იგი ყოველდღიურ ცხოვრებისათვის არის ყოვლის უწინარეს და საზოგადოებას, ერს არ შეუძლია იარსებოს და დაწინაურდეს, თუ არა მისი ხელმძღვანელობით.

უნდა ვისწავლოთ. უნდა ვისწავლოთ და ვიმოქმედოთ ნასწავლის მიხედვით, სხვა გზა არ არსებობს სინამდვილეში და რა პირობებშიაც უნდა მოგვიხდეს არსებობა, ბრძოლა, მისწრაფება, სხვა საშუალებით გამოსავალს ვერ ვიპოვნით. შრომა ცოდნასთან შეზავებული სასწაულმომქმედია და ამ დედამიწაზე სწორედ რომ სამოთხის დამყარებელი. უშრომოთ და უცოდნოთ არავითარი სიკეთის შექმნა არ შეიძლება, არავითარი განვითარება, გამარჯვება. ქონებრივი ღონიერება, კულტურა, არც სოციალური გაუმჯობესებაც. გვეყოფა თავის მოტყვილება, ვითომც მოციქულთასებურის ქადაგებით შეიძლებოდეს საზოგადოების გარდაქმნა და ცხოვრების ამაღლება. მაღალ საზოგადოებრივ ცხოვრებას მაღალი კულტურული ნიადაგი სჭირია, რასაც ამზადებს მხოლოდ ინტენსიური განვითარებული შრომა და მრავალმხრივი ცოდნა, მეცნიერება ყოველდღიურ პრაქტიკაში გადასული. ერთბაშად რომ მოხდეს და ქვეყნად სოციალიზმი გამოცხადდეს, ძმობა და ერთობა დამყარდეს, ნუ ვიფიქრებთ, რომ ჩვენი ქვეყანა მყისვე აყვავდებოდა და განათლებული, დაწინაურებული ქვეყნები ყველაფერს მოგვაწვდიდნენ. არა. ევროპა თუნდაც გასოციალისტებული არაფერს გამოგვიგზავნის, მუქთად არაფერს დაგვრიგებენ. ჩვენი სიმდიდრე, ჩვენი კულტურა, ბედნიერება თვითონ უნდა შეექმნათ საკუთარის შრომით, საკუთარის ძალით და ცოდნით, ჩვენი სამშობლოს ბუნებრივის სიმდიდრის სრული გამოყენებით.

უდიდესი ყურადღება უნდა მივაქციოთ ჩვენი ქვეყნის და ხალხის ეკონომიურ აღორძინებას, ეროვნული სიმდიდრის შექმნას, მრეწველების და წარმოების მოწყობას. ეს აუცილებელი პირობაა ჩვენი პოლიტიკურ-ეროვნულ და კულტურულ მოღონიერებისათვის. ღატაკები და მშივრები ყველაფერში სუსტნი ვიქნებით. დღეს ჩვენი ხალხი მეტად ცუდად იკვებება, თავს ვერ უვლის, მისი ბინა ადამიანის ბინას არა ჰგავს, რაიც მას სრულს გადაგვარებას უქადის. ქართველი ერი—ეს ულამაზესი და უმშვენიერესი მოდგმა მთელ დედამიწაზე—თანდათან ჰკარგავს თავის ლამაზ სახეს და ტანადობას ცხოვრების პირობების გაუარესობით, უჭმელ-უსმელობით, დაავადმყოფობით. და განა გარეგნული სიმშვენიერე არაა ფასდაუდებელი განძი, რომლითაც ერს შეუძლია თამამად იამაყოს?

ცხოვრება უნდა შევიგუოთ, ცხოვრებას უნდა შევეგუოთ; უნდა მოვაწყოთ ის და მოვეწყოთ ჩვენც. ამისთვის სამი რამ გვჭირია: ეროვნების ფანატიკური სიყვარული, შრომის უაღრესი პატივისცემა და დაუშრეტელი მისწრაფება ცოდნისადმი. ეს სამი მცნება შეზავებული და მთელის სისრულით განხორციელებული მოგვცემს შეძლებას დავსძლიოთ ყოველი დაბრკოლება და მოვმართოთ ჩვენი სამშობლო ყველა მისი შვილის სასიამოვნოთ და საკეთილდღეოთ, და არ ჩამოვრჩეთ სხვა ერებს წინსვლასა და განვითარებაში.

ბოლშევიკებმა ჩვენში ერთიან გაამასხარავეს შრომაც და ცოდნაც—შრომის ალაგას გაბატონეს ცუღლუტობა და ცოდნას დაუკარგეს ყოველი პატივისცემა და ნდობა და ჩვენ, რომელნიც ვეტრფით საქართველოს აღდგენას, და თავისუფლება ქართველი ერისა არის ქვაკუთხედი ჩვენი მოქმედების, ჩვენ განსაკუთრებით უნდა განვიმსჭვალოთ დღეს იმის ღრმა შეგნებით, რომ თავისუფალი სამშობლოს უმტკიცესი საფუძველი იქნება შრომა და ცოდნა...

ს. ფირცხალავა.

რუსეთის მდგომარეობა.

ახალი დაკვრა მოხდა რუსეთზე, ამ უკანასკნელ ხანში ორ უმთავრეს პოლიტიკურ ხაზზე. ეს ხაზები: რუმინეთ-ბულგარეთის ხაზი (საერთოთ ბალკანეთი) და ოსმალეთის ხაზი (საერთოდ ხმელთა შუა ზღვის სფეროა).

ბალკანეთზედაც და ხმელთა შუა ზღვის სფეროშიაც ევროპის პოლიტიკის ავანპოსტის როლს იტალია თამაშობს, რომელმაც დიდი ომის შემდეგ დაიკავა ორთავ სფეროში ნაწილობრივ ადგილი და გავლენა, რომელიც წინად ავსტრია-უნგრეთის იმპერიას ეკავა და ჰქონდა, აგრეთვე ის გავლენაც, რომელიც წინედ გერმანიას და ნაწილობრივ რუსეთსა ეპყრათ, ვინც არ უნდა იყოს იტალიის მართველი, სულ ერთია, იტალიას მხოლოდ ერთი პოლიტიკა შეუძლია ჰქონდეს,—ექსპანსიის პოლიტიკა, გამოწვეული მცხოვრებთა რაოდნობის სწრაფი ზრდითა და განვითარებით. იტალია ეძებს თავისუფალ ადგილთ ჩვენს პლანეტაზე და გასაგებია მისი სურვილი, რომ აგეთი თავისუფალი ადგილები სამშობლოს ახლოს მონახოს—ბალკანეთზე, აფრიკა-არაბეთში, მცირე აზიაში ე. ი. ხმელთა შუა ზღვის. გარშემო. ბალკანეთი მას ეკონომიურ-პოლიტიკურ მიზნებისათვის გამოადგება, ნაკლებათ კოლონიზაციისათვის (ადრიას სანაპიროთა გარდა). აქ საგულისხმოა ჩვენთვის რუმინეთ-იტალიის დაახლოვება ეკონომიურად (სესხი) და პოლიტიკურადაც, რადგანაც იტალია ერთად ერთი დიდი, ევროპიული სახელმწიფოა, რომელსაც ე. წ. სრული ეკონომიური ხელშეკრულება აქვს საბჭოთა რუსეთთან. მას პოლიტიკური ხელშეკრულებაც მოჰყვა და მოსკოვის სურვილით კავშირიც უნდა მოჰყოლოდა. ამის ნაცვლად შეიკრა კავშირი რუმინეთ-იტალიის. იტალიამ იცნო არსებობა ოქმის, რომლის ძალით ბესარაბია რუმინეთს მიაკუთვნა დასავლეთმა ევროპამ. კიდევ მეტი: იტალიამ აღუთქვა ცალკე წერილში რუმინეთს ხელის მოწერა და რატიფიკაცია ამ ოქმის, როდესაც მომენტი ხელსაყრელი იქნება. ეს ოქმი მხოლოდ დაკანონებაა 1919 წლის ბესარაბიის რეფერენდუმის. სამართლიანია «პრავდა»-«იზვესტიას» გულისწყრომა და შიში: იტალია მოსკოვს მოკავშირეთ არ გამოადგება, წინააღმდეგ ის მოსკოვის მტერთა რიგშია. და თუ ეს აშკარად არა სჩანს დღეს და იტალია ბესარაბიის შესახებ ოქმს დღესვე ხელს არ აწერს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მას ჯერ რუსეთში დაწყებული საქმიანობა სურს მოათავოს (სამხრეთ რუსეთში). წელს ზაფხულს ჩიჩერინსა და სტალინს უნდა ენახათ მუსოლინი და პირადად დაემთავრებინათ კავშირზე მოლაპარაკება; ამის სანაცვლოთ მუსოლინი ჩემბერლენმა ინახულა: სჩანს მილტის კუნძულებთან დაბანაკებულ ინგლისის ფლოტს მეტ ანგარიშს უწევენ რომში ვიდრე შორეულ მოსკოვის სუსტ დაპირებათ. რუმინეთს ბულგარეთი მოჰყვა, რომლის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბოროვმა ერთი თვის წინ საქვეყნოთ განაცხადა იტალიასთან დაახლოვებისა და კავშირის სურვილი. ცხადია, რომ რუმინეთ-ბულგარეთის ხაზი აშკარა ანტი ბოლშევიკურია, იტალიასთან კავშირით და გავლენით გამაგრებული. რუსეთმა ეს იცის და ეკონომიურ ბოიკოტით ემუქრება იტალიას, სხვათა შორის ბესარაბიის გამოც. მაგრამ ეს ბოიკოტი კიდეც რომ განხორციელდეს, რუსეთს უფრო აზარალებს. რუსეთმა კი საბოლოოდ ხელი უნდა აიღოს რაიმე იმედზე, რომ ბესარაბიის საკითხს თავის სასარგებლოდ გამოაბრუნებს. ომის დროს კი ყველა დასავლეთ ევროპის სახელმწიფონი—იტალიაც—რუმინეთის მხარეზეა. კიდევ უარესია მდგომარეობა რუსეთის შავსა და ხმელთა შუა ზღვაზე, სადაც ოსმალეთი და იტალია გაძლიერდენ. ოსმალეთი მოკავშირეა რუსეთის, მაგრამ მოსულის საკითხი რომ დაისვა და ოსმალეთი, ყოველ შემთხვევაში ომისათვის მომზადებული, მოსკოვს დახმარებაზე შეეკითხა, მოსკოვში მას ზრდილობიანად უარი უთხრეს: ეხლა რუსეთს ომი არ შეუძლიანო. რუსეთის შინაური ვითარებაც კარგად იცის ანგორამ, ამიტომ ანგორის კაბინეთმა ინგლისის სასარგებლო დადგენილება გამოიტანა. მეორეს მხრივ საბერძნეთ-იტალიიდან კი ოსმალეთს საფრთხე მოელის, რადგან ბერძნებს ოსმალეთის დახუსტება უნდათ, იტალიას კი ოსმალეთის სანაპიროები კოლონიზაციისათვის. ფლოტი კი საბერძნეთ-იტალიას მეტად ძლიერი ჰყავს, ვიდრე ოსმალეთს. აი, აქ შველის ოსმალეთს ინგლისი. გაზეთების ცნობით,*) ანგორაში მოლაპარაკება სწარმოებდა, სხ. შორის, ინგლისთანაც, რომ ოსმალეთი ერთა ლიგის წევრად გახდეს, რუსეთს საბოლოოდ დაშორდეს და თითქოს კავკასიისაკენაც მოიხედოს, ბაქოს ნავთის შესახებ განსაკუთრებულის ინტერესითა და ყურადღებით უნდა იქნეს მიღებული ზომები. სამაგიეროთ ინგლისი გავლენას მოახდენს საბერძნეთზე და იტალიაზე ანგორას სასარგებლოთ. იგულისხმება, თუ ანგორა არ შეუთანხმდა ინგლისს, უკანასკნელი იმის საწინააღმდეგოს იქს ან ხელს შეუწყობს, რასაც არ იქდა, თუ მას ანგორა შეუთანხმდებოდა. ჩემბერლენის შეხვედრა მუსოლინთან ტყვილა არ მომხდარა: მისი შედეგია ზემოდ მოყვანილი ცნობა. იტალიას სამაგიეროთ ჰედჟასა და არაბეთში (სულთან საუდი მეგობარია იტალიის) შეპირდებოდენ საზღაურს. ჩვენ მივაღწიეთ მთავარ წერტილს ინგლისის წინააღმდეგობისა რუსეთისადმი.

მას შემდეგ რაც ეკონომიურად-ფინანსიურად და ორგანიზაციულად ძლიერი, ეროვნულად მთლიანი და სრულიად საღი გერმანია დასცა, ინგლისის სურვილია მისი უშუალო მეტოქე აზიაში, რუსეთიც მოიშოროს თავიდან. თუ გერმანია მას აწუხებდა სხ. შორის თავისი გავლენით მცირე აზიაში, ოსმალეთში და სხ. რუსეთი მას აწუხებს არა ნაკლებ მცირესა და მთელს აზიაშიც, სადაც ინგლისს ყველა თავის კონკურენტებთან მორიგება შეუძლია,—რუსეთთან კი არა. ყველაზე უძლიერესი და საგრძნობი დაკვრა რუსეთზე მისგან კავკასიის ხაზის ჩამოცილებაა, და ამით გამოსწორება იმ შეცდომის, ლოიდ ჯორჯმა რომ ჩაიდინა და მაკდონალდმა კინაღამ დაადასტურა. აქედან ცხადია, რატომ დააშოშმინა ინგლისის პრესამ ლიტვასთან ხელშეკრულებით გაბრაზებული პოლონეთის პრესა, რომელიც სამხედრო მოქმედებაზე ლაპარაკობდა: დასავლეთი ხაზის შეზნიქვა, იქიდან რუსეთის დახევა ისე რადიკალურად ვერ გადაწყვეტს რუსეთის საკითხს, როგორც მისი კავკასიიდან გადევნა. ამიტომ პილსუდსკის პროტესტს ჯერ-ჯერობით რაიმე აქტივობა არ უნდა მოყოლოდა.

მართლაც ტრაღიკულია რუსეთის ბედი. მან ხელშეკრულებები დადვა ანგორასთან, ქაბულთან, თეირანთან, ბერლინთან და კოვნოსთან. ყველგან წააგო: ოსმალეთ-სპარსეთ-ავღანისტანი**) საბოლოოთ სცილდება მას; ბერლინი ნეიტრალობას იცავს მის ბედსა და უბედურებაშიც; კოვნომ კი მას ის შედეგი მოუტანა, რომ ლატვიის საგ. საქმეთა მინისტ. ულმანის განცხადებით უფრო მჭიდროთ შეეკავშირა ფინეთი, ესტონია და ლატვია რუსეთის წინააღმდეგ ერთის მხრივ და ფინეთი და შვეცია მეორეს მხრივ (ფინეთის პრეზიდენტის მოგზაურობა შვეციაში). საკითხია, მოიგო თუ არა მოსკოვმა ლიტვას გული თუ უფრო გააბრაზა და ჩამოიშორა ის ამ ხელ-

*) «დევ ვესტენ» 21.10.1926; «ვოსს. ცაიტ.» და სხ.

**) იხ. «რუსეთის მდგომარეობა» № 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეკრულებით, რადგან კრასინი სასწრაფოთ ლონდონში გაგზავნილი, აცხადებდა «დეილი ჰერალდ»-ში, რომ მოსკოვი მზადაა მიიღოს ყოველივე გადაწყვეტილება ვილნას შესახებ ლიტვას დასტურით ე. ი. თვითონ განზე დგება. ეს ვერაფერი დახმარებაა. მოსკოვმა იცის, ინგლისი როგორ უყურებს მას, და მისი უბედურება სწორედ იმით კიდევ უკეთ ცხადდება, რომ მოსკოვი იძულებულია იმავ ინგლისს სთხოვოს დახმარება სესხით. ამაზე მეტი დამოკიდებულება თავის მოწინააღმდეგისაგან შეუძლებელია.

ვერც ევროპა-ამერიკის სახალხო მეურნეობის გული მოიგო მოსკოვმა. ეკონომიური, ფინანსიური (ბანკების ტრესტი) საერთაშორისო შეთანხმება და კავშირი ხდება სასტიკი აფრონტით კომუნისტურ-ბოლშევიკურ რუსეთის წინააღმდეგ, რომელსაც აგერ ათი წელია დააცალეს და მისგან ედემის ბაღის გაშენებას ელოდენ ცოდვილს ქვეყანაზედ.

1917 წ. რუსეთი და ბოლშევიკები პლანეტარულის მასშტაბის რევოლუციით ემუქრებოდენ ევროპასა და ამერიკას. ეხლა რუსეთს მართლაც პლანეტარული საფრთხე მოელის: ამ ჩვენს პლანეტაზე მას ყველა მტრად ჰყავს გადაკიდებული.

ისმება კითხვა, აქვს კი რუსეთს იმდენი შინაგანი ძალა, შინაური ცხოვრების მოწყობილი-ორგანიზაცია, რომ დასძლიოს მთელი მსოფლიო პოლიტიკის ძალები და თავის სასარგებლოდ შესცვალოს მის წინააღმდეგ მიმართული მთავარი გეზი?

თუ არის რუსეთი შინაურობაში განხეთქილი, მთელი მისი სახელმწიფო ორგანიზაცია შუაზე განპობილი და ახალ სამრქალაქო ომისა თუ აღრეულობის წინა მდგარი?

ტიტა მარგველაშვილი.

უცხოეთის მიმოხილვა.

საიმპერიო კონფერენცია.

თვეზე მეტი გასტანა დიდი ბრიტანეთის საიმპერიო კონფერენცია, რომელზედაც დაესწრენ ექვსი პრემიერი (ინგლისი, ირლანდია, კანადა, სამხრეთ აფრიკა, ავსტრალია, ახალი ზელანდია) და ერთი მაჰარაჯა (ინდოეთი). ჩამოთვლილი ქვეყნები, ერთათ აღებული, წარმოადგენენ უდიდეს იმპერიას დედა-მიწაზედ. მათი კავშირი და დამოკიდებულება, განსაკუთრებით ინგლისისა და დანარჩენებ შორის, განისაზღვრება არა იმდენათ დაწერილი კონსტიტუციით, რამდენათ ადათით და ტრადიციით. სულ პირველათ უკანასკნელნი იყვნენ უბრალო კოლონიები, რომელთაც განაგებდენ ლონდონიდან, თემთა პალატა ისევე სცემდა მათთვის კანონებს, როგორც ინგლისისთვის. შემდეგ ისინი იქცენ დომინიონებად საკუთარის ხელისუფლებით და ლონდონიდან დანიშნულ გენერალ-გუბერნატორით. დღეს ისინი გარეგნულათაც დამოუკიდებელი გახდენ, ძალდაუტანებლათ, შეთანხმებით! საინტერესოა, ბურების ცნობილი სარდალი ჰერცოგი პრემიერის ხარისხით ესწრება კონფერენციას, გაათკეცებულ სახელმწიფოდან (სამხრეთი აფრიკა). იგივე არ ითქმის ჯერ-ჯერობით ინდოეთზე, ის არ არის გათანასწორებული დომინიონებთან უფლებით, აქვს განსაკუთრებული წყობილება და ექვემდებარება ლონდონის კოლონიალურ უწყებას, რომლის მეთაური მონაწილეობდა კონფერენციაზედ.

კონფერენციის მიერ შემუშავებულ დებულებიდან ირკვევა, რომ დომინიონები უთანასწორდებიან მეტროპოლს როგორც უფლებით, ისე მოვალეობით. თვითეული სრული ბატონ-პატრონია თავის შინაურ საქმეების და აქვს უშუალო დამოკიდებულება ინგლისის მთავრობასთან, როგორც თანასწორს თანასწორთან. გენერალ-გუბერნატორი არის მეფის და არა მთავრობის წარმომადგენელი, როგორც წინეთ, ე. ი. იგეთივე კონსტიტუციური დამოკიდებულება არსდება რომელსამე დომინიონსა და მეფეს შორის, როგორიც უკანასკნელსა და ინგლისს შორის. და ეს კი მოასწავებს იმას, რომ მეფე მეფობს და არა მართველობს, ხელს აწერს, რასაც პარლამენტი დაადგენს. დომინიონებს მიეცათ უფლება ელჩ-კონსულების დანიშვნისა უცხო ქვეყნებში და ამათაც შეუძლიათ დანიშნონ ისინი პირველებთან, შეუძლიათ საერთაშორისო ხელშეკრულებანი დადონ, იმპერიის წევრთა ურთიერთ თანხმობით.

მაშ რა დარჩა საერთო?—იკითხავს მკითხველი. ისა, რომ ყველას ერთი სიმბოლიური მეთაური შერჩათ—შერჩათ მეფე, არის ერთგვარი პიროვნული უნია, ამის მიხედვით ტიტულიც შესცვალეს. მაგრამ ეს არის ფორმა, შინაარსი კი დიდია მათ დამოკიდებულებაში: საბაჟო, სამხედრო და დიპლომატიური. უკანასკნელ ორი დარგის ხელმძღვანელად მაინც ლონდონი რჩება. ეს მეჭერმეტყველურად დადასტურდა ორი ფაქტით: 1) უდიდესი საზღვაო აღლუმი პრემიერთა თანდასწრებით და 2) კონფერენციამ ერთხმათ მოიწონა ლოკარნოს შეთანხმება.

შავი გაფიცვა.

«კიდევ ერთი ასეთი გამარჯვება და ჩვენი ქვეყანა მოიშლებაო»—სთქვა ინგლისის ერთმა მოღვაწემ. მართლაც, როგორც ირკვევა, შავმა გაფიცვამ მეტი ზარალი მიაყენა ინგლისს, ვინემ ბურებთან ომმა. ჩვენ საკმაო ადგილი დავუთმეთ ამ დიდმნიშვნელოვან მოვლენას, მე-10 ნომერში განმეორებით დავუხასიათეთ იგი მკითხველს და დავასკვენით, რომ გაფიცვა გათავებულად შეიძლება ჩაითვალოსთქო. ასედაც მოხდა. ერთი უკანასკნელი შემთხვევა კიდევ მიეცათ მემაღაროეთ გამარჯვების ჩარხი რამდენათმე მაინც თავისკენ მიეტრიალებიათ—ეს იყო მთავრობის პირობების მიღება: რაიონული შეთანხმება დაინტერესებულ მხარეთა და საერთო სამსაჯულოს დაარსება ადგილობრივ კონფლიქტების მოსაგვარებლათ. პატრონები სასტიკი წინააღმდეგი იყვნენ საერთო ინსტანციისა, რომელიც ასე თუ ისე გავლენას უტოვებდა მემაღაროეთა ფედერაციას და მის ცენტრს. ფედერაციის კონფერენციამ კიდეც ამიტომ მოიწონა ხმის დიდი უმრავლესობით მთავრობის პირობები და ურჩია მემაღაროეთ მათი მიღება. მოხდა მარტივი პლებისციტი (ითვლიდენ მხოლოდ კრებებზე მონაწილეთ) და ამან კი უარყო კონფერენციის რჩევა! ეს უჩვეულო რამ იყო, მუშები აუჯანყდენ საკუთარ ცენტრალურ ორგანიზაციას და მით დასცეს მისი ისედაც შერყეული პრესტიჟი. პატრონებსაც ეგ უნდოდათ, რადგან კენჭს რომ სხვაგვარი შედეგი მიეცა, ისინი წინააღმდეგობის გაწევას აპირებდენ და მთავრობაც უკვე მზათ იყო ახალი კანონის გატარებით დაემორჩილებია ისინი. მაგრამ პლებისციტმა მოხსნა ეს კითხვა და მთავრობაც განთავისუფლდა დაპირებულისაგან. მაღაროებში უკვე დაიწყო ყველგან მუშაობა და რაიონული «შეთანხმებანი» უფრო კარნახია პატრონების: მუშაობენ რვა საათს შვიდის მაგიერ და ღებულობენ ნაკლებ ხელფას ვინემ წინეთ! შეადარეთ ეხლა ეს კუკის ლოზუნგს: არც ერთი წუთი მეტი, არც ერთი პენი ნაკლები! ეხლა ის, კუკი, გმირად თვლის თავს და თავ-აღერილი მიეშურება მოსკოვს. ვეპვობთ, ბუხარინი ღიმილით დახვდეს მას: აკი მის სამ კოზირს ერთი მოაკლდა—შავი გაფიცვა.

დიდ ხანს იგრძნობენ ინგლისში ამ უდიდეს სოციალურ ბრძოლის შედეგებს. 200 ათასი მუშა ქუჩაზედ დარჩა და მიემატა უმუშევართა ლაშქარს. გარეშე ბაზარი დაკავებულია სხვებისაგან და დიდი ენერგია იქნება საჭირო მისი ისევ დასაპყრობათ. ინგლისი ჰკარგავს ძველ პრივილეგიურ მდგომარეობას მსოფლიო ბაზარზედ, აქედან მას არ ძალუძს უკეთეს პირობებში იყოლიოს მუშები, ვინემ სხვაგან. ამას თან მოზდევს სოციალურ ბრძოლის გამწვავება, რაიც თავს იჩენს პოპოლიტიკურ განწყობილებაშიც. შავი გაფიცვა ერთგვარ გარდატეხვის მიჯნად დარჩება.

ჩინეთი.

მოძრაობა ჩინეთში გარკვეულ ეროვნულ ხასიათს ატარებს, იგი ფართოვდება, ღრმავდება და საცაა მეფეს, ცისკვეშა ხელმწიფოს ჩაითრევს. სათავე ამ მოძრაობისა [illegible] ხელ- [illegible] და ვეძიოთ, რომელიც კიდევ 1921 წლიდან, როცა იმპერია რესპუბლიკად იქცა, გამოეყო ჩრდილოეთს და თავის პოლიტიკას აწარმოებდა სუნ-იატ-სენის მეთაურობით. ეს პოლიტიკა მიმართული იყო, ერთის მხრით, გუბერნატორ-დიქტატორების წინააღმდეგ შიგნით, მეორეს მხრით, უცხოელთა პრივილეგიების მოსპობისაკენ გარეთ. იმავე დროს დიდ როლს თამაშობდა უცხოეთი, დიდ სახელმწიფოების სახით, თვით მოძრაობაში, ის ეხმარებოდა ხან ერთს, ხან მეორე მხარეს, ასე რომ ჩინეთის სარდლები სათამაშო ტიკინებად იქცნენ მის ხელში. ეს სისტემა დღესაც გრძელდება, მხოლო იმ განსხვავებით, რომ უცხოეთის გავლენა ჩამოყალიბდა ორ მიმდინარეობად, რომელიც სასტიკად დაუპირდაპირდა ერთმანეთს: ბოლშევიკური და ანტიბოლშევიკური. მოსკოვი ცდილობს აუმხედროს ჩინეთი დიდ კოლონიალურ სახელმწიფოებს, მაშინ როდესაც უკანასკნელნი ცდილობენ თავიანთ პრივილეგიების შენარჩუნებას. მთელი ჩინეთი გაყოფილია ორ ბანაკად: ერთის მხრით, სამხრეთი კანტონის მეთაურობით, მეორე მხრით, ჩრდილოეთი მუკდენის მეთაურობით. დედა-ქალაქი პეკინი ფაქტიურათ უმთავრობოთ არის და განიცდის მუკდენის დიქტატორის ჩან-სო-ლინის გავლენას. შანჰაის დიქტატორი სუნ-ჰან-ფანი, რომელიც ვითომ მესამე ძალას წარმოადგენდა, უკან იხევს, და მოსალოდნელია, რომ მის რეზიდენციას ხელში ჩაიგდებს კანტონის სარდალი შიან-კაი-შეკ. ტიანზინში მოხდა ამას წინეთ გენერლების თათბირი და ჩან-სო-ლინს ჩააბარეს ხელმძღვანელობა ამ ხიფათის ასაცდენათ.

გამოდის, ამრიგათ, რომ მოსკოვის ფალავანი იმარჯვებს! გარეგნულათ ეს თითქოს მართალია, მაგრამ სინამდვილეში სხვას ვხედავთ. კანტონს თავიდანვე გაუჩნდა პოლიტიკური პარტია კუომინტანის სახელით და ეს ხელმძღვანელობს ეროვნულ მოძრაობას. იგი არ არის, რა თქმა უნდა, ბოლშევიკური და, თუ იღებს მოსკოვისაგან დახმარებას, ეს მხოლოდ თავის საკუთარ მიზნების განსახორციელებლათ. ის დიდი ხანია მოითხოვს ცნობას დიდ სახელმწიფოებისაგან და მზათაა მოლაპარაკება გამართოს მათთან შესათანხმებლათ. მოსკოვი სასტიკათ ეწინააღმდეგება ამ ტენდენციას და ხშირათ იმართება მწვავე ბრძოლა კუომინტანის პარტიაში, რომლის მემარცხნე მცირე ჯგუფს ჩინეთის კომუნისტები შეადგენენ. დამახასიათებელია, ჰანკოუში და სხვაგან იქ დაბინავებულ უცხოელთა ფიზიკურათ გაყლეტის მქადაგებლათ მოსკოვის აგენტები გამოდიან, მაშინ როდესაც კუომინტანი ამის წინააღმდეგია. ამ უკანასკნელათ ინგლისის გეზიც თითქოს იცვლება: მზათ არიან იცნონ კანტონის მთავრობა! ეს კი მოასწავებს დიდ ხიფათს მოსკოვისთვის, ვინაიდან მას წაერთმევა მთავარი კოზირი და კანტონიც თავს დაუკრავს მას.

ოდესის შეხვედრა.

დიდი ხმაურობა გამოიწვია ჩიჩერინის და რუშთი ბეის შეხვედრამ ოდესაში. სჩანს, მომქმედ პირებს ასე სურდათ და, უნდა ითქვას, მიზანს მიაღწიეს. მხოლოდ მათ გამოეპარათ ალბათ, რომ ეს ახმაურება არ იყო სრულიად გულწრფელი, უცაბედი. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ყველაზე მეტს ხმაურობდა ინგლისის პრესა, აშკარაა—ეს განზრახ იყო მოწყობილი მოსკოვის საშიშროების გასადიდებლათ, საზოგადო აზრის დასამუშავებლათ. თორემ აბა რომელ გამოცდილ პოლიტიკოს მოატყუებთ დღეს თქვენ ინგლისში, რომ ეგრ. წოდ. აღმოსავლეთის ერთა ლიგა რამე აქტუალურს წარმოადგენს ვისმესთვის! რუსეთი, ოსმალეთი, სპარსეთი, ავღანისტანი, ჩი-

---

მზე-ქალა.

აი რა მიამბო ქაქუცა ჩოლოყაშვილმა, ქართველ შეფიცულების ბელადმა.

«ეს იყო ხევსურეთის აჯანყების დროს 1922 წელს, სექტემბერში. ქ. დუშეთთან შეტაკების შემდეგ ხევსურეთში გადავედი. ხევსურებმა სიხარულით მიმიღეს. უნდა იცნობდეთ მთის ამ ქართველებს, გამოცდილებს ომში და მოსიყვარულეთ თავის ქვეყნისა, რომ გაიგოთ, რა უცბათ აღმოთქვეს დახმარება. ჩემი სახელი გაგონილი ჰქონდათ. ამას გარდა, ჩვენ გვარს მუდამ ჰქონდა პატივი ამ ხალხში, რადგანაც ისტორიულად ჩოლოყაშვილები ამ კუთხის მოურავები იყვნენ. ამ ქვეყანაში ყველაფერი ძველის წესებით იმართება და ხალხის უმფროს პირებად ითვლებიან არა მთავრობის მოხელენი, მით უმეტეს რუსები. არამედ დეკანოზები და გვარის უხუცესნი. ისინი გამოცხადნენ ჩემთან და მითხრეს, რომ მზათ არიან რუსებისთვის წინააღმდეგობა გაეწიათ.

ვის უნახავს ეს ქვეყანა? ვის უნახავს მისი მთები, შეფენილი მწვანით, ზედ ასულის ბილიკებით და იქიდგან დაქანებულის ნაკადულებით!.. ხალხი დღესაც რკინის პერანგს და ჩაფხუტს ატარებს, იცის ფარიკობა და გულზედ ჯვარი აქვს ამოკერილი, ნიშანი, რომ მათი მამაპაპანი ჯვაროსანთა ომებში ყოფილან.

საღამო ხანს ჩემს თვალებს საუცხოო სურათი გადაეშალა. სოფლის ერთი კოშკიდგან ძახილი გაისმა. ეს იყო განგაში. ეს ხმა ატყობინებდა დანარჩენ სოფლებს, რომ ხევსურეთი ომს იწყებდა. დაინთო ცეცხლები და მახლობელმა სოფლებმა განგაშითვე უპასუხეს. ერთი ღამის განმავლობაში ყოველმა ხევსურმა იცოდა, რომ დილას იარაღით უნდა გამოსულიყო.

ამაზედ მეტი არც დრო გვქონდა. რუსის ჯარები, რიცხვით ექვსი ათასი, ფეხ და ფეხ მომდევდნენ და ჩემი კაცებისაგან წუთიდან წუთზე ველოდი მათი ხევსურეთში შემოსვლის ამბავს. გუდამაყარის მხრიდგან თოფი გავარდა. ეს მტრის მოახლოების ნიშანი იყო. მე ცხენი მოვითხოვე და მახლობელ მწვერვალზედ დავბანაკდი. ოცი კაცი მაშინვე ორ წყალზედ გავგზავნე. ეს ის ადგილი იყო, საიდანაც რუსები უნდა შემოსულიყვნენ. იქ ჩასულ ჩემ კაცებს სამასი შეიარაღებული ხევსური დახვდა. ამ ადგილის მნიშვნელობა ხევსურებმა კარგად იცოდნენ და თავისით მოსულიყვნენ, მალე ხევსურებმა სხვა შემოსავალი ადგილებიც ასე გაამაგრეს და ჩემის მხრივ საერთო ხელმძღვანელობა ღა იყო საჭირო.

გაიარა ღამემაც და დილაზედ რუსებმა შემოტევა დაიწყეს. ტყვია ზუზუნებდა და ზარბაზანი გრიალებდა. ჩემთან მხოლოდ სამი კაცი იყო. ეს იყო მთელი ჩემი შტაბი. მაგრამ ეს სიმცირე არ იყო ჩემი გასაჭირი. ნაბადში გახვეული მიწაზედ ვეგდე და ციება, ასე ხშირი ჩვენს პარტიზანულ ყოფაში, შედეგი ჩვენი გამუდმებული მიწაზედ წოლისა, სულსა მღაფავდა. დამეწყო ღამით და დილაზედ სიცხეც მომცა. მოდიოდნენ კაცები, მოქონდათ ამბები დი მიქონდათ ბრძანება, მაგრამ, დამიჯერეთ, დღესაც არ ვიცი, რა ბრძანებანი იყვნენ ისინი.

უცბად ერთმა ხევსურმა ცხენი ზედ ნაბადზედ მომაგდო.

— რომელია ჩოლოყაშვილი? დაიძახა მან.

კაცებმა ჩემზედ მიუთითეს. მან დამხედა და წამოიძახა:

— რა დროის წოლაა, ვაჟაო, არ გაგიგია, ხევსურებთს მტერი მოადგა?!

მე შევხედე. ჩემს წინ სულ ახალგაზდა, უწვერულვაშო ხევსური იდგა. მხარზედ პატრონტაში ჰქონდა გადაგდებული, ხელში თოფი ეჭირა და უბელო ცხენზედ იჯდა. მე ისევ თვალის დახუჭვა მინდოდა, იმ იმედით, რომ პასუხს ჩემები გასცემდნენ, რომ მოსულს პატრონტაშის ქვეშ ქალის ღია მკერდი დაუნახე.

ასეთი უჩვეულო გარეგნობის სტუმრის მოსვლამ გამომარკვია და წამოვიწიე. ვიდრე მისი უცნაური მოსვლის მიზეზს ვიკითხავდი, მე თვით მინდოდა ამეხსნა მიზეზი ჩემი წოლისა, რადგანაც მოსული ქალი იყო ეჭვს გარეშე და მის სიტყვებზედ, ცოტა არ იყოს, თავი უხერხულად ვიგრძენი.

— ავადა ვარ, წავილაპარაკე მე.

— განა სიკვდილი ავადმყოფს არ შეუძლიან? ორ წყალში ომია! მიპასუხა მან.

— ვინა ხარ, დისავ? ვკითხე, როცა დავატყვე, რომ ჩემი სტუმარი ჩვეულებრივ ქალს არ ჰგავდა.

— მზე-ქალს მეძახიან, არაშულის ქალი! ნეტაი, თუ შენც ჩოლოყაშვილი ხარ?

— გახლავარ. რას მიბრძანებ?

— ბრძანება შენი იყოს, მე ორ წყალზედ მინდა მიგაცილო. ხევსურნი გელოდებიან. ომია!

სთქვა და თვალებში ჩამაშტერდა.

მე აღარაფერი გამომიკითხავს და მხოლოდ მივხდი, რომ წაუსვლელობა არ იქნებოდა. ასე ფიქრობდნენ ალბად ჩემი ამხანაგებიც, რადგანაც ჩემს ხსენებაზედ—ცხენი მოეყვანათ, წინააღმდეგობა არ გაუწევიათ.

შევსხედით და წავედით. წინ მზე-ქალა მიგვიძღოდა. მე თავ-ბრუ მესხმოდა და უნაგირზე ძლივს ვიჯექი, მით უფრო. რომ მზე-ქალას უბილიკო დაღმართებით მივყავდი ძირს. ტყვია ზუზუნებდა, მაგრამ ამას ყურადღებას არ აქცევდა. უთუოდ იკითხავთ, ვინ გამოგზავნა? არავინ! როგორ მომაგონო, არც ის ვიცი! ვიცი მხოლოდ, რომ ჩემი კაცებისაგან არ იყო გამოგზავნილი. ერთ სოფელს რომ გაუსწორდით, ცხენი შემოატრიალა და სოფელს ერთი მაგრად დასჭყივლა, სახლში დარჩენილებს უძახოდა. სოფლიდგან მხოლოდ ძაღლმა გაგვცა ხმა.

— ბეჩაუ, უკაცოდ ძაღლიც ცოდოა მარტო. სჩანს ყველანი წასულან. ჩაილაპარაკა მან.

მხოლოდ აქ გავარჩიე კარგად მისი სახე. იქნებოდა თვრამეტი წლისა. სახე ჰქონდა კუშტი და ეშხიანი, ისეთი როგორსაც გვიხატავენ ყაზბეგი და ვაჟა-ფშაველა თავის მთიულურ მოთხრობებში. მკერდი ჩამოღეღილი ჰქონდა, როგორც ვთქვი და მხრებზე შავი თმა ეყარა. ტუჩები იმ გარეგანი სილამაზით ჰქონდა აწყობილი, რომ მთელ მის არსებას მშველს ამზგავსებდა.

ისევ გზას გაუდექით. მზე-ქალა ისევ წინ მიგვიძღოდა, მაგრამ ხმა აღარ ამოუღია. გარეგნობა მთლად ვერ შესცვლიდა და ალბად წმინდა ქალური მოკრძალებით იყო მოცული, რადგანაც, რაც უნდა იყოს, უკან მხოლოდ მამაკაცები მივსდევდით. ჩვენების საფრებს რომ მიუახლოვდით, მზე-ქალა უცებ დაგვცილდა, დაიძახა ჩემი სახელი მთელი ხეობის გასაგონად და მტრისაკენ თოფი დასცალა.

ბრძოლამ რამდენსამე დღეს გასტანა. რუსები გვიტევდნენ, ხევსურები უკან ერეკებოდნენ და თითქოს სჯობნიდნენ კიდეც. მაგრამ მათი არტილერია ჩვენ სოფლებს ზურგზედ ბოლს ადენდა. ამ ხნის განმავლობაში მზე-ქალამ რამდენჯერმე ჩამიქროლა წინ. ისევ ის ღია მკერდი, ისევ ის უბელო ცხენი, ის პატრონტაში მხარზე და თოფი ხელში! მაგრამ, არ ვიცი რატომ, ჩემთან ერთხელაც არ შეჩერებულა. თითქოს მისთვის აღარ ვარსებობდი. მაგრამ უსაქმოდ ერთხელაც არ ყოფილა. ხან ჩვენი სანგრების წინა რიგებში იჯდა და მამაკაცებთან ერთად ისროდა, ხან კარგა ხნით სადღაც გაქრებოდა და მოჰყავდა ახალი ხალხი, ვინც რაიმე მიზეზით აქამდის ჩვენთან ვერ მოსულიყო. ამ ხნის განმავლობაში ის იყო სროლაშიაც და შემოირბინა თითქმის მთელი ხევსურეთი.

რუსებს უნდოდათ ჩვენი ხევსურეთში შერეკა, იქ ჩაკეტვა და ტყვედ წაყვანა. გეგმა სწორი იყო, რადგანაც თუ ხევსურეთში მოგვამწყვდნენ, გამოსვლა ძნელი იქნებოდა. ისინი ერთხელ კიდევ გადმოვიდნენ იერიშზედ და ხევსურებს დაანევინეს. ამავე დროს პატარა რაზმით, მე თითონ შემოუარე მათ, რუსები ჩემსა და ხევსურებ შორის მოექცნენ და ამრიგად თითონ რუსები მიშლიდნენ ხელს, დახეულ ხევსურებს მეც თან გავყოლოდი.

ამ დღიდგან აღარც მზე-ქალა მინახავს. გაიარა ხანმა, მე ბევრი ადგილი გამოვიცვალე. ბოლოს იძულებული შევიქენი დროებით საქართველო დამეტოვებინა და, ჩეჩნეთში მიმავალს, გზა ისევ ხევსურეთზედ მედო. რუსები წასულიყვნენ. დაეწვათ სოფლები, გაერეკათ საქონელი, დაეცარცვათ სახლეები და დაეხვრიტათ ხალხი, დახვრეტილთა შორის ხუთი ქალიც ერია. უნდა გვეფიქრა, რომ ამ ხუთში მზე-ქალაც იქნებოდა. მაგრამ მზე-ქალას ამბავი სულ სხვანაირად მიამბეს. დახვევის დროს ხევსურები მთებში წავიდნენ და პირველი სოფელი, რომელშიაც გამარჯვებული რუსები შევიდნენ, მზე-ქალას სოფელი იყო. ქალები, ბავშვები და მოხუცებულნი აჯანყებულთ გაჰყვნენ. ცარიელ სოფელს რუსებმა ზარბაზანი დაუშინეს. სროლა რომ შეწყდა, სოფელს რუსის სალდათები მოედვენ და დაიწყეს ჩვეულებრივი ცარცვა. ჯარის კაცთა ერთი ჯგუფი მზე-ქალას სახლისაკენაც გაემართა. სახლიდგან ორი ტყვია გამოვარდა და ორი ჯარისკაცი მოჰკლა, რუსებმა სროლითვე უპასუხეს. ბოლი რომ განიბნა და რუსები სახლში შევიდნენ, მიწაზედ ახალგაზდა ქალის უსულო გვამი ნახეს. მოკლული მზე-ქალა იყო! როცა სოფელი ხალხისაგან დაიცალა, ის მაინც თავის სახლში დარჩენილიყო და ფიცი დაედო თავის კერაზედ რუსი არ გაეტარებინა. მზე-ქალამ სიტყვა შეასრულა და რუსები მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ შევიდნენ მის სახლში. რუსის ტყვია სწორედ იმ ადგილას მოხვედროდა, რომელიც მზე-ქალას ისეთის უმანკო მოურიდებლობით დაჰქონდა-ღია მკერდში. მაგრამ პატრონტაში ისევ მხარზედ ჰქონდა და თოფიც ხელში ჩარჩენოდა. თავზედ უბელო ცხენი ადგა».

შ. ამირეჯიბი.

ნეთი მხოლოდ ღა გეოგრაფიული სახელებია, როცა კითხვა იმაზეა, რომ ისინი შეკავშირდენ და დაუპირდაპირდენ უკვე არსებულ ერთა ლიგას. უკანასკნელში უკვე შედიან სპარსეთი და ჩინეთი დღიდან მისი დაარსებისა, ავღანისტანიც მათ კვალს გაყვება ჩქარა მომავალში, ხოლო რაც შეეხება რუსეთსა და ოსმალეთს, ეს უეჭველათ იყო მოლაპარაკების საგანი ოდესაში. საქმე იმაშია, რომ ანგორა სერიოზულათ ფიქრობს თავის კანდიდატურის წამოყენებას ჟენევაში, რასაც კიდეც მოელოდენ მისგან ამ შემოდგომისთვის. ანგორას გული უძევს აგრეთვე ლიგის საბჭოს წევრობაზე; ამის შესახებ ნიადაგის მოსინჯვა უნდა სწარმოებდეს ევროპის ცენტრებში. მოსკოვმა იცის ყველა ეს და აი ჩიჩერინიც ათას ხრიკებს მიმართავდა, რომ დაეჯერებია თავისი «გულითადი მეგობარი» რუშთი, რომ ოსმალეთის ლიგაში შესვლა დაღუპვა იქნებოდა მისთვის, ამის ნაცვლად ის შესთავაზებდა მას სამხედრო კავშირს, და ამაზე ხომ დიდი მითქმა-მოთქმა იყო პრესაში. მაგრამ ვეჭვობთ, რომ ეს განზრახვაც ადვილი ასასრულებელი იყოს. მოსკოვი, თუმცა სიტყვით დიდი მამაცია, საქმით შიშის ჟრუანტელი უვლის ტანში, თუ ხმლის ამოღებაზე მიდგა ჯერი. მოსულის კონფლიქტის დროსაც ძალიან ტრაბახობდა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ლაჩრულათ დაიხია. ამავე დროს მუსოლინის მუქარა, მისი ცდა ბალკანეთიც აიყოლიოს, რეალური საშიშროებაა, რომელსაც ანგარიშს უწევს ოსმალეთის პრესა. შექმნილ მდგომარეობაში ცხადია, რამდენათ ხელსაყრელია ოსმალეთისთვის ერთა ლიგის წევრად გახდომა. არ უნდა დავივიწყოთ, ლიგის სტატუტი ერთგვარ საერთაშორისო გარანტიას ჰქმნის თვითეულ წევრისათვის. არის სპეციალური მე-10 პარაგრაფი, რომლის ძალით ყველა სახელმწიფოები—წევრები ვალდებულნი არიან დაეხმაროონ თავდასხმის მსხვერპლს—წევრს. ევროპის ოჯახში შესვლა ოსმალეთს მოუპოვებს სხვა ძლიერ მეგობრებსაც, ეს მან იცის.

კ რ ა ს ი ნ ი.

ერთი ახალი წევრიც მოაკლდა ბოლშევიკურ ძველ გვარდიას. კრასინი თავისებურ ბოლშევიკად იყო მიჩნეული ევროპაში, არავის სჯეროდა მისი გულწრფელობა, ვითომ ის იზიარებდა კრემლის სტუმართა იდეებს, მათ პრაქტიკას. გარეგნობით, მიხვრა-მოხვრით, სიტყვა-პასუხით ნამდვილი კულტურული ევროპიელი, არავის ჰქონდა წარმოდგენილი, რომ ის თანაუგრძნობდა იმ ათასგვარ ბოროტებას, რომელსაც სჩადიოდენ და სჩადიან მისი პარტიული ამხანაგები. ყოველ შემთხვევაში, კრასინი არ ერიდებოდა ევროპის წინაშე წაფარებოდა მოსკოვის სიშიშვლეს, სიმახინჯეს. ამაში თავის საკუთარ ინტერესსაც ხედავდა უეჭველათ. გერმანიის უდიდეს ფირმის სიმენს-შუკერტის დირექტორად ყოფნა რუსეთში ომის წინ და ომის დროს, გარდა ნივთიერი სარგებლიანობისა, ერთგვარ იჭვის ქვეშ აყენებდა მას, ხომ რუსეთის მტერს ხელს არ უწყობდა თავის სამშობლოს თავდაცვის დეზორგანიზაციაში. ჩვენ ისიც გვახსოვს, რომ თებერვლის რევოლიუციის ხანაში საჩივრით მიმართავდა ის პეტროგრადის საბჭოთა აღმასრულებელ კომიტეტს ურჩ მუშების ასალაგმავათ!

მაგრამ ბოლშევიკი ხომ ბევრს იტევს თავის არსებაში და კრასინიც ტიპიური იყო ამ მხრით. მან პირველმა «ჩაამტვრია ფანჯარა ევროპისკენ» პეტრე დიდის შემდეგ, როგორც იტყვიან. პირველი ხელშეკრულება სწორეთ მან დასდო ინგლისთან მარტში 1921 წ. ეს აქტი მით უფრო საგულისხმიეროა ჩვენთვის, რომ მასში მოთავსებულია ერთი მუხლი, რომლის ძალით ინგლისი უარს ამბობდა კავკასიის სვე-ბედით დაინტერესებაზე.

კრასინის გარდაცვალების გამო «იზვესტია» სწერს სხ. შ.: «უნდა ითქვას, პარიზში ძალიან ცუდ პირობებში უხდებოდა კრასინს მუშაობა, ასე წარმოიდგინეთ, რესპუბლიკის პრეზიდენტის ოფიციალურ მიღებებზედ ამხ. კრასინის ახლო იდგა ჩხენკელი, რომელიც განაგრძობდა საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლობას საფრანგეთში». და აი, ამ გარემოებასაც აწერს იზვესტია კრასინის უდროოთ გარდაცვლას! როგორც ხედავთ, საქართველოს უფლების ფეხ ქვეშ გათელვა დაუსჯელათ არ ჩაუვლით მის მტრებს. კრასინმა დიპლომატიურათ მოამზადა საქართველოზე თავდასხმა, მაგრამ, როცა პარიზში ჩამოვიდა ელჩად, ოთხი წლის შემდეგ, იმავე საქართველოს სრულუფლებიან ელჩს შეეჩეხა, და ამის ატანა მან ვერ შესძლო. უეჭველათ მან მაშინვე აფრინა ეს ამბავი მოსკოვში, და ესაა მიზეზი, რომ სიკვდილის შემდეგ უხსენებენ მას.

საქართველოს უნივერსიტეტი
და რუსული პოლიტიკა

(წერილი ტფილისიდან)

ქართული უნივერსიტეტის რექტორის ივ. ჯავახიშვილის გამოცვლით და ახალი რექტორის თ. ღლონტის დანიშვნით უნიაერსიტეტის ცხოვრებაში ცვლილება უნდა მომხდარიყო და მართლაც თ. ღლონტმა უნივერსიტეტში შესვლის რამდენიმე დღის შემდეგ თავის მოღვაწეობას წარუმძღვარა ვრცელი წერილი გაზეთ «კომუნისტში», რომლითაც დაიმსახურა ერთის მხრით მთელი ერის ზიზღი და მეორეს მხრით კომუნისტ-ავანტიურისტთა ტაშის ცემა. მისი წერილი—ერთგვარი დეკლარაცია იყო, რომელშიდაც უტიფრათ მოუწოდებდა საზოგადოებას კვლავ დაბრუნებოდა რუსულ ენას (ანუ ლენინის ენას), რუსულ კულტურას და ერთი სიტყვით რუსეთის მონობას.

თედო ღლონტის ეს პოლიტიკა არავისათვის გასაკვირი არ იყო, რადგან იგი რუსულ «ველიკოდერჟავულ» პოლიტიკის გატარებაში უბრალო სათამაშო ტიკინას წარმოადგენდა, და ვიღაც მის ზურგს უკან, შავი ზრახვებით მოსილი აკეთებინებდა მის, ქართველი ერის წინააღმდეგ მიმართულ შავს საქმეებს. მაგრამ ამკარა იყო. საქმე ამით კიდევ არ გათავდებოდა; და მართლაც რამდენიმე ხნის შემდეგ ქართულ უნივერსიტეტს ეწვია სარევიზიოდ, ისე როგორც ნიკოლოზის დროს ხდებოდა ხოლმე, აკადემიკოსი ლაზარევი, რომ გაეგო «ყველაფერი რიგზეა თუ არა რუსთა სამფლობელოში», ე. ი. რამდენად ადგია გარუსების პოლიტიკას ის ერთად ერთი კერა ქართული ეროვნული შემოქმედების. დაათვალიერა აკადემიკოსმა ლაბორატორიები, პროფესორები და შემდეგ ესაუბრა განათლების სახ. კომისარს კანდელაკს და მთავრობის თავმჯდომარეს მ. ორახელაშვილს, თუ რა გზით და როგორ შეიძლება ქართ. უნივერსიტეტის გადარუსება, გადარჯულება, გადაგვარება.

რასაკვირველია, როგორც ყოველთვის აქაც აკადემიკოსი ლაზარევი ეგ. ბ. «ბერიტოვმა» (ასე აწერს ხოლმე ხელს თავის ნაცოდვილარ წერილებს, რომლებიც ბლომად იბეჭდება რუსულ და უცხო ჟურნალებში, მაგრამ მის წერილებს გარდა თვით ავტორისა, არავინ კითხულობს). მან, მეცნიერი სახელის მანიით შეპყრობილმა, განაცხადა ფაკულტეტისადმი ოფიციალურ მიმართვაში, დაითხოვონ ზოოლოგიის პროფ. გ. ჯავახიშვილი, და ფიზიკის პროფ. ა. დიდებულიძე, მათ ნაცვლად მოიწვიონ რუსეთიდან რუსი პროფესორები. ეს პირები, აღნიშნავს კრეტინი-პროფესორი, ვერ ამზადებენ ვითომდა სათანადოთ ახალგაზრდობას და საჭიროა «ნამდვილი» პროფესორები—ე. ი. რუსი პროფესორებიო.

ასეთი გამოსვლა რასაკვირველია სჭირდებოდათ რუსეთიდან ჩამოსულ რევიზორებს, რომ ხელში ქონოდათ საბუთი—მოთხოვნა ვითომდა თვით ქართველი პროფესორებისა, რათა ქართული უნივერსიტეტი რუსული «ნაგავით» გაავსონ.

ჩვენ არ ვიცით, რა ნაყოფს გამოიღებს «ბერიტოვის» და მის ძმათა მუხლის თავებზე ხოხიალი აკადემიკოსთა წინაშე. არ ვიცით რა მახინაციებს ამზადებს ღლონტ-სულაქველიძე-ერქომაიშვილის გამგეობა ქართულ უნივერსიტეტში, ვიცით მხოლოდ, რომ ქართულ უნივერსიტეტში დღითი დღე იზრდება უვიცთა რიცხვი, მსგავსად «ბერიტოვისა», რომელნიც არაფერს არ ერიდებიან რომ ვოსტორგოვის გზა განაგრძონ და თან თავისი «მეცნიერული ღირებულება», რომელიც ჭიანჭველას თუ აეკიდება, გამოიყენონ ქართული ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოთ. მაგრამ დადგება დრო, და ასეთ პირებს, რომელნიც დღეს მალაყს გადადიან და ხბოებივით კვინტრიშობენ ქართველ ხალხის სხეულზე, ხვალ თავის ადგილს მიუჩენს იგივე ქართველი ერის რისხვა და შურისძიება.

X.

საქართველოს ამბები.

ჟურნალ «ბრძოლის» უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილია წერილები საქართველოდან, რომლებიც აგვიწერენ იმ საშინელ დევნას, რომელსაც განიცდის ბოლშევიკებისაგან მთელი ქართველი ერი, და იმ აუტანელ პირობებს, რომლებშიაც იმყოფებიან ქართვ. პოლიტიკური ტუსაღები. მოგვყავს ამ წერილებიდან მთავარი ფაქტები, რომელთა შესახებ ცალკე მოველაპარაკებით ჩვენს მკითხველებს.

«მთელი საქართველო განურჩევლად წოდებისა, კლასისა და პიროვნებისა დაყენებულია იჭვს ქვეშ. ჩვენში რომ პოლიტიკური თავისუფლების არც ერთი ფორმა არ არსებობს ეს დიდი ხანია ყველამ იცის, მაგრამ ეს ცოტაა. ჩვენ მოკლებული ვართ საერთოთ ყოველგვარ საშვალებას გამოვხატოთ ამა თუ იმ ფორმებში ჩვენი ეროვნული გრძნობა და მისწრაფებანი. არ არსებობს თავისუფლება თვითმოქმედებისა საზოგადოებრივ ცხოვრების არც ერთ დარგში.

ადვილად გასაგებია, თუ როგორ მდგომარეობაში უნდა იყოს თვითეული მოქალაქე, რომელიც ამ საერთო ეროვნული უუფლებობის ფონზე გაბედავს ხმის ამოღებას; ის რა თქმა უნდა, მტარვალის შურისძიებას ვერ აიცილებს. ტყვეთ ქმნილი, ის მოკლებულია არა მარტო მოქალაქის, არამედ ადამიანის ყოველივე უფლებასაც კი. იწყება მისი წამება... ქუჩური ლანძღვა-გინება, ცხვირ-პირში ფურთხება, ცემა-ტყეპა ხელით, ფეხით, რევოლვერებისა და თოფების კონდახებით, ყოველგვარი დაცინვა და შეურაცყოფა მისი პოლიტიკური რწმენის, ადამიანის ღირსების, ყველაფერი იმის, რაც მისთვის ძვირფასია... მთელი კვირეების განმავლობაში ამყოფებენ საიდუმლო ოთახებში, სადაც არ აძლევენ არც სასმელს და არც საჭმელს, ან ძალზე მოშივებულსა და მოწყურებულ კაცს შეუგდებენ საგანგებოდ დამარილებულ საჭმელს, რომ კიდევ უფრო მოაწყურონ, წყალს კი არ აძლევენ... ამწყვდევენ სხვადასხვა ბნელ შკაფებში, ბოჭკებში და ფეხისადგილებში. იშვიათი არ არის შემთხვევა ტყვეების დასახჩრებისა—განსაკუთრებით მაშინ, როცა ისინი უკვე დასახვრეტათ განწირულნი არიან. დაკითხვები ხდება ღამით და მხოლოდ ღამით, როცა ტყვემ არ იცის, რისთვის მიჰყავენ—დასახვრეტათ თუ დასაკითხავათ, ვინაიდან ორივე შემთხვევაში ერთი და იმავე წესით მიყავთ საკნიდან. დახვრეტის სიმულიაცია ხელების შეკვრით და ნამდვილათ მისჯილებთან ერთად წაყვანა ერთი ავტომობილით ხქ, სადაც ხვრეტა ხდება, მისი დახვრეტაზე დასწრება და შემდეგ ნახევრათ გაგიჟებულ ადამიანის უკან დაბრუნება. ბევრია კიდევ არა ნაკლებ მტარვალური საშვალება. ეს პირველი პერიოდი თითქმის ყველასათვის თავდება ბნელ სარდაფებში დამწყვდევით. ეს ის სარდაფები არ გეგონოთ, რომელსაც ჩეკა საკნებს ეძახის. ამათ ქვემოთ მიწის ქვეშ კიდევ არის სარდაფები და აქ ვირთხებისა და საკუთარ განავლის ატმოსფერაში ტყვეს უხდება ჯდომა ულოგინოდ, ზოგჯერ შიშველ-ტიტველს, კვირაობით და ხშირად თვეობითაც. ჩვენ ვიცით შემთხვევა, როცა ერთი ამხანაგი ექვსი თვე იჯდა ასეთ სარდაფში. არ არის ჩვენში არც ერთი პოლიტიკური ტყვე, რომელსაც ამა თუ იმ სახით არ ქონდეს გამოვლილი ამ ჯოჯოხეთის ეს პირველი ეტაპი. უნდა დავუმატოთ, რომ ამ ჯოჯოხეთის მოციქულები, ე. ი. ყველა ეს ჩეკის გამომძიებლები და სხვადასხვა აგენტები, შესდგება ხნედაცემული ელემენტებისაგან: კოკაინისტებისა, სადისტებისა და ეროტომანებისაგან, ჰასაკით ჩვეულებრივ არა უმეტეს 25 წლისა.

ყველა ეს წამება, რომელსაც ტყვე განიცდის ჩეკაში წინასწარი გამოძიების დროს, არც მისი ეგრეთ წოდებულ «გამსახლებში» (გამასწორებელ სახლებში) გადაყვანით თავდება. აქ იგი ხშირად მთელი წლის განმავლობაში თითქმის ყოველდღე მოელის თავის ბედის გადაწყვეტას. ასამართლებს კი თვით ჩეკის ორგანოები ბრალდებულის დაუსწრებლად. უკანასკნელმა უმეტეს შემთხვევაში არც კი იცის რაში სდებენ ბრალს ან რისთვის ან როდის დასდვეს მსჯავრი.

რაც შეეხება ციხეებში გამეფებულ რეჟიმს, იგი ხასიათდება თავის სრული უწესრიგობით და მოკლებულია კანონის ყოველივე გარანტიებს. ყველაფერი დამოკიდებულია ციხის უფროსების ნება-სურვილზე. ტყვეების თავდაცვის ერთადერთი საშუალებაა შიმშილობის გამოცხადება; უამისოთ პროკურორის ნახვასაც ვერ ეღირსებიან, და ამ შემთხვევაშიაც ეს უკანასკნელი შიმშილობის მეათე დღეზე ადრე არ მოდის. პოლიტიკური ტყვეები განგებ სისხლის სამართლის ტუსაღებთან არიან მოთავსებული. უკანასკნელთა შორის კი გავრცელებულია საშინელი გარყვნილება, რომელსაც ისინი არც მალავენ და სასაცილოთ იღებენ პოლიტიკურებს.

სახაზინო ულუფა სრულიად არ არის საკმაო, გადმოცემების მიღება კი გარედან უზრუნველყოფილი არ არის, არ არის უზრუნველყოფილი არც ნახვები. საკნები ბნელია, ცივი და ნესტიანი. საკნებში მოთავსებულთა რიცხვი ორჯერ სჭარბობს ნორმას, რის გამო საშინელი სიბინძურე და სივიწროვეა. ლოგინებს არ იძლევიან, ხშირად საწოლი ფიცრებიც არ არის საკმაოდ. ღამე ბევრს პირდაპირ ბინძურ, დანესტიან, სველ იატაკზე უხდება წოლა.

კულტურულ ქვეყნებში შინაგან-პოლიტიკური სიტუაციიდან უკეთესად არის მოწყობილი, ვიდრე ჩვენი «გამსახლები». თქვენ უნდა ნახოთ ის აღშფოთება, რომელსაც გამოსთქვამენ თვით სისხლის სამართლის ტუსაღებიც კი, როდესაც ხედავენ, რომ სხვადასხვა ე. წ. დელეგაციებს აჩვენებენ არა იმას, რაც სინამდვილეში არის, არამედ საგანგებოდ მოწყობილ სურათებს, როგორც მაგალითად ციხის «სკოლაში მეცადინეობა» და სხვა. დელეგაციებს ახვედრებენ საგანგებოთ ამორჩეულ საიმედო სისხლის სამართლის ტუსაღებს და ყველა კითხვაზე საბჭოთა ხელისუფლებისთვის სასარგებლო პასუხს ათქმევინებენ. წინააღმდეგს ვინ გაბედავს, როცა დელეგაციას თან ახლავს ჩეკისტები, მათ შორის თვით სიკვდილის კომენდანტი—ჯალათი.

პატიმრობა ფაქტიურად სიკვდილით დასჯას უდრის, როდესაც ქართველ ტყვეებს სუსხიან ჩრდილოეთში აგზავნიან, რაც ეხლა სისტემათ არის ქცეული. ამ ბოლო დროს მაინც იშვიათად თუ აგზავნიან ვინმეს სადმე სხვაგან, თუ არ სოლოვკიში. იქიდან ცოცხალად განთავისუფლებული ჯერ არავის უნახავს. ყოველ შემთხვევაში, თუ ვინმე გადაურჩა ამ საშინელებას, საქართველოში დაბრუნების უფლება მაინც არ აქვს, მას ადმინისტრატიული წესით აგზავნიან ციმბირის სხვა და სხვა მიყრუებულ კუთხეებში დასასახლებლათ.

აჯანყების შემდეგაც გრძელდება პოლიტიკურების ხვრეტა. ეს ხვრეტა, მართალია არა მასიური, დღემდის სწარმოებს, თუმცა გაზეთებში არ აცხადებენ წამებულთა სიებს.

ხელი მიჰყვეს აგრეთვე ქართველ ინტელიგენტებს, ხვრეტენ მათაც დაუნდობლათ, ვითომდა «გაფლანგვისათვის», წუთისოფელს ასალმებენ საზოგადოების საუკეთესო ნაწილს, უმეტეს შემთხვევაში სრულებით უდანაშაულოებს: მაგალითად, «წარმოკავშირის» თანამშრომელთა უკანასკნელი დახვრეტები, რკინისგზელების, კოოპერატორების და სხვ. ამ ჯგუფების უდანაშაულობა იმდენად ნათელი იყო თვით ჩეკისათვის, რომ თავის განაჩენში მან ვერავითარი ბრალდება ვერ წაუყენა ბრალდებულებს და დაკმაყოფილდა მხოლოდ მათი ბინძური მოწმეებით. ხვრეტენ კიდევ ზოგს რაზე და ზოგს რაზე... უფრო კი უმნიშვნელო დანაშაულისთვის, ეჭვით ან შურისძიებით... საერთოთ მიღებულია ჩეკაში წესად, რომ ორ კვირაში, ან უკიდურეს შემთხვევაში, თვეში ერთხელ მაინც უნდა დახვრიტონ ათობით ტუსაღები. ეს აუცილებლათაა მიჩნეული.

ამნაირად, სისხლიდან იცლება ჩვენი ერი, მისი ყველა კლასი. აჯანყების დროს დახვრეტილი 5.000 კაცი არ აღმოჩნდა საკმარისი. ბევრ პოლიტიკურებს ასახლებენ და ისიც მხოლოდ ჩრდილოეთ რუსეთში. ჩეკა-«ოგეპეუს» დასტურით, ქართველ პოლიტიკურ ტყვეებს აგზავნის მოსკოვის საშვალებით ამა თუ იმ ქალაქის ციხეში, ან თვით გეპეუს განკარგულებაში. უკანასკნელი კი თავისით ანაწილებს მათ ჩრდილოეთის ციხეებში...»

დასასრულ მივაქცევთ ქართველი ემიგრაციის განსაკუთრებულ ყურადღებას საქართველოდან გამოგზავნილ შემდეგ გაფრთხილებაზე:

«გარდა აქ ხალხის ჭერისა ამ რენეგატებს მიზანში ყავთ ამოღებული ემიგრაცია. მათი რჩევით და მოთხოვნით ჩეკამ მიზნათ დაისახა, რაც არ უნდა დაუჯდეს,- ემიგრაცია დამალოს. უტყუარი ცნობები გვაქვს, რომ ამ საქმისათვის გადადებულია აუარებელი ფული. ცდილობენ გაიჩინონ ემიგრაციაში თავიანთი აგენტები (შეიძლება ასეთები უკვე ყავთ); გარდა ამისა ისინი თქვენკენ აგზავნიან თავიანთ ხალხს, როგორც ემიგრანტებს. ამ საშვალებით მათ უნდათ ემიგრაციის შიგნიდან აფეთქება. ამას მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება».

«P R O M É T H É E»

გამოვიდა პირველი ნომერი ჟურნალი «პრომეთესი», ფრანგულ ენაზე. ჟურნალის მიზანია—დაცვა კავკასიის ერთა და უკრაინის დამოუკიდებლობისა. პირველ გვერდზე დახატულია მშვენიერი სურათი კავკასიის მთებზე მიჯაჭვული პრომეთესი. შემდეგ მოსდევენ წერილები: 1) მეთაურ წერილში გატარებულია ის აზრი, რომ საკაცობრიო პროგრესისა და მსოფლიო მშვიდობიანობისათვის საჭიროა განთავისუფლება კავკასიის და უკრაინისა; 2) «პრობლემა კავკასიისა» ამტკიცებს, რომ კონფედერაცია კავკასიის შესაძლებელია და აუცილებელიც, რათა რუსეთის იმპერიალიზმს მოეღოს სამუდამოდ ბოლო, და კავკასიის ერთ მიეცეს სრული შესაძლებლობა თავისუფალ განვითარებისა. შემდეგ მოდის წერილები: 3) საქართველოსთვის დაარსებულ საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარის ჟან მარტენისა; 4) ხ. რამიშვილის; 5) დ-რ ხოზროვ სულტან-ზადესი. 6) ჰაიდარ ბამატის; 7) ნ. შუმიცკის; 8) რასულ ზადესი, და 9) გიორგი გვაზავასი. საზოგადოდ გამოცემა ლამაზია და მეტად შინაარსიანი.

ნომერი ღირს 3 ფრანკი, საზღვარ გარეთ 5 ფრ. მისამართი რედაქციისა: გ. გვაზავა, Paris, 8 rue François Coppée.

«დამოუკიდებელი საქართველო»

ხელისმომწერთათვის ღირს საფრანგეთში ერთის წლით 20 ფრ.,

ნახევარი წლით 10 ფრ. სხვა ქვეყნებში—ერთის წლით 25 ფრ.,

ნახევარი წლით 15 ფრ.

Rédaction et Administration.

M. J. GOBETCHIA

18, rue des Acacias, Paris.

Arpajon — Imprimerie de *La Gazette de Seine-et-Oise*.

Le Gérant : LARGILIÈRE.